ახალი განათლება

2015 წელი, 14 - 20 მაისი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№18 (692) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

14 მაისი - თამარ მეფის ხსენების დღე

საქართველოს ისტორიაში დიდი თამარ ლეგენდარული ფენომენია უცილოდ – არა იმ აზრით, თითქოს იგი ოცნებით იყო შექმნილი, არამედ იმ ფიქრით, რომ მისი სინამდვილე უმძაფრესი იყო ფრიად. ჩვენს ისტორიაში არ მოიპოვება მეორე ისტორიული პირი, რომელიც თავის დამტკიცებაში პიროვნულ სინამდვილეს გასცილებოდეს და ერის ისტორიულ ათვისებაში ქცეულიყოს ცოცხალ ლეგენდად. დიდი იყო დავით აღმაშენებელი და იყო მნიშვნელოვანი გიორგი მესამე: საქართველოს თამარის დროს განდიდება, ისტორიკოსის ივ. ჯავახიშვილის აზრით, მათი სამხედრო მოქმედების ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე თვითონ თამარის პირადი ღვაწლი, – მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი ერის ისტორიულ შეცნობაში თამარის გვერდით ისინი დაჩრდილულნი გამოდიან შესამჩნევად... საქართველოს ცოცხალი ლეგენდა თამარია მხოლოდ.

...თამარ ცოცხლობდა, როგორც ხორცშესხმული ლეგენდა, – და ცოცხლობს კიდეც. ყოველი ნატეხი საქართველოისა თამარის ლეგენდის ნატეხია უთუოდ. როცა ჩამავალი მზე საქართველოს რომელიმე ნანგრევს უკანასკნელ ამბორს უგზავნის, – ქართველი იმა ამბორში თამარის ღიმილს ჰკითხულობს: როცა შავს უღრან ტყეში უცხო ფრინველი გადაიფრენს – ქართველი მისი ფრთების ფრთქიალში თამარის ზღაპარს დაინახავს. ქართველი თამარის სახით ჰქმნის უთვალავ ლეგენდას: ესა თუ ის ადგილი წმინდაა: – იქ ფრინველს თუ ცხოველს ვერავინ ხელს ვერ ახლებს; რისთვის? მისთვის, რომ იქ ერთხელ თამარ მეფეს გაუვლია. როცა დედას რძე გაუშრება იგი იდუმალ წყაროს მიმართავს მოსარჩენად, – და მოარჩენს კიდეც: ვისი ძალით? რასაკვირველია თამარის ძალით: იმ წყაროთი თამარს ოდესმე წყურვილი მოუკლავს. რომელი ერთი ჩამოვთვალო?! საქართველოში ყოველი ფეხის გადადგმა განა თამარის ლეგენდით არ არის აყვავებული?! ყველგან – თამარ, და მარტო თამარ! განა ოდესმე ქართველის გულის ფართქალში გაქრება თამარ, როგორც ნუგეში და იმედი?! არაოდეს! ვინ იცის, ჩვენს უმსგავსო ცხოვრებაში, საცა შურისა და შუღლის მეტი არა ისმის რა, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი ნავთსაყუდარი. ვინ იცის, ჩვენს უგვანო ცხოვრებაში, საცა აღფრთოვანებას ფრთები ეჭრება „მეშჩანური“ მორალისაგან, მრავალი ქართველისათვის მხოლოდ თამარია ერთადერთი ამაფრთოვანებელი მესაიდუმლე. და რამდენია ისეთი, რომლისთვის ამ საშინელ ქვეყანაში საკუთარი სულიც ციხედ გარდაქმნილა! ვინ მისცემს მათ ახსნას? თვალის მომჭრელი ლანდი თამარის! დიახ, ქართველის გული თამარის სიყვარულით ფართქალებს. და საგულისხმოა ფრიად, რომ თამარის საფლავი დღემდე არავინ იცის. იგი ყველას ეკუთვნის და არავის: – მისი საფლავი ქართველის გულია, – ხოლო ქართველის გრძნობაში ეს „საფლავი“ კი არ არის, არამედ ლამაზი საყვავილე სურა, საცა ყვავილობს უჭკნობი ყვავილი – დიდი თამარ.

გრიგოლ რობაქიძე

პედაგოგთა დასახმარებლად

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

რუსული ენა

გვერდი 4

ბავშვთა უფლებები

გაუწოდეთ ბავშვს ხელი და არა ფული

გვერდი 6

უფროსი მასწავლებლობის გარანტი

ვიდეოგაკვეთილები (+5 კრედიტი)

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული უნარების ჯგუფის წარმომადგენელი ირინა ჟვანია

სექტემბრიდან, როცა ახალი სქემა ამუშავდება, ყველა მასწავლებელი ხდება ამ სქემის ნაწილი, ხოლო 2016 წლიდან, როდესაც გარე დაკვირვების მექანიზმი უნდა ამოქმედდეს, მასწავლებლებს, 4 წლის განმავლობაში, მიეცემათ შესაძლებლობა, გაიარონ გარე დაკვირვება, ანუ მასწავლებელს, რომელიც გადავა მეორე საფეხურზე – უფროსი მასწავლებლის – 4 წლის განმავლობაში, სრულიად თავისუფლად, შეუძლია აირჩიოს დრო, როდის გადაწყვეტს გარე დაკვირვების გავლას. იმ ოთხი წლის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღება ნებაყოფლობითია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის მითითებულ ვადაში ვერ ან არ გაივლის გარე დაკვირვებას და ვერ მიიღებს მისთვის განკუთვნილ 5 კრედიტს, ავტომატურად ჩამოდის ქვედა საფეხურზე – პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში, რომელიც, როგორც ვიცით, მილევადი კატეგორიაა და 4-6 წლის შემდეგ აღარ უნდა იარსებოს.

ნებისმიერმა მასწავლებელმა, ვინც ამ სისტემაშია, ერთხელ მაინც უნდა გაიაროს გარე დაკვირვების პროცესი.

გვერდი 2

გარე დაკვირვების სქემა

უფროსი მასწავლებლობის გარანტი

ვიდეოგაკვეთილები (+5 კრედიტი)

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემა პედაგოგებს ოთხ კატეგორიად ჰყოფს. თითოეული კატეგორიის მინიჭებასა და მის შენარჩუნებას სხვადასხვა აქტივობებით ამყარებს. ერთ-ერთი მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილებაც უფროს მასწავლებელს კატეგორიის შესანარჩუნებლად მოუწევს, 19 კრედიტის დაგროვებაა, აქედან გარე დაკვირვებას 5 კრედიტი ენიჭება. როგორ უნდა გაიაროს პედაგოგმა გარე დაკვირვება, რომელიც ვიდეოგაკვეთილის შედეგად უნდა შეფასდეს და როგორ აიღოს19 კრედიტიდან მისთვის განკუთვნილი 5 კრედიტი? ეს ინფორმაცია, ალბათ, არა მხოლოდ ამჟამად ამ საფეხურზე გადამსვლელებს, არამედ ყველას დაინტერესებს, რადგანაც მისი გავლა ერთხელ ნებისმიერ პედაგოგს მოუწევს, ვინც ამ სისტემაშია. ეს კი 2016 წლიდან, 4-წლიან ვადაში, გარე დაკვირვების მექანიზმის (პილოტირების შემდეგ) ამოქმედების შემდეგ, გახდება სავალდებულო. წინაადმდეგ, შემთხვევაში, პედაგოგი ავტომატურად პირველი – მილევადი პრაქტიკოსი მასწავლებლის საფეხურს დაუბრუნდება. როგორი სახით შემოგვთავაზებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გარე დაკვირვების რუბრიკას, ამის შესახებ ცნობილი გახდა მედიასემინარზე, რომელიც ცენტრმა ახლახან ყაზბეგში გამართა. „გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ახალ სქემაში საკლასო დაკვირვების სისტემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ჩვენ ამ პასუხისმგებლობას სრულად ვაცნობიერებთ. ძალიან გვინდა, მაქსიმალურად მომზადებულები შევხვდეთ მისი დანერგვის პროცესს, რომელიც რეალურად 2016 წელს დაიწყება, 2015 წელი კი აპრობაციის პერიოდია. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დაგვიტოვებია, სადაც არ ჩავედით და პედაგოგებს ინფორმაცია არ მივაწოდეთ ამის შესახებ. ძალიან საინტერესო იყო მათგან უკუკავშირის მიღება. მნიშვნელოვანია, რომ კალკით არ გადმოვიღოთ უცხოური გამოცდილება და პირდაპირ არ დავნერგოთ სისტემა, რომელიც სხვაგან კარგად მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანია, ეფექტურად მოვარგოთ არსებულ ვითარებას, რომ საბოლოო ჯამში რაღაც შედეგი მოგვცეს. რაც მთავარია, სისტემა არ უნდა იყოს ისეთი, რომ მასწავლებლებს გავუჩინოთ განცდა, რომ მათ შესამოწმებლად კიდევ ახალი რამ მოიგონეს ვიდეოგაკვეთილების სახით. იმედია, მეტნაკლებად რელაქსირებულად იგრძნობენ თავს და კარგი პედაგოგები ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოახერხებენ გარიერის გადალახვას.“ – განაცხადა **მაია მიმინოშვილმა**. *შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული უნარების ჯგუფის წარმომადგენელმა* **ირინა ჟვანიამ** *დეტალურად ისაუბრა რუბრიკის შემუშავების პროცესებზე:*

რატომ გაჩნდა გარე დაკვირვების აუცილებლობა და რა მნიშვნელობა აქვს მას მასწავლებლის შეფასების პროცესში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისა ახალი სქემა მთლიანად ცვლის მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესს, ანუ მათი შეფასების სისტემას. მანამდე არსებობდა სისტემა, რომელიც მასწავლებელთა სერტიფიცირებას გულისხმობდა – თუ მასწავლებელი, საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარების შემდეგ, ბარიერს გადალახავდა, სერტიფიცირებული ხდებოდა. საგნობრივი გამოცდა ახალ სქემაშიც რჩება, თუმცა, პედაგოგს აღარ ევალება პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება, რაც გულისხმობს მათ ცოდნას მეთოდებისა და ფსიქოლოგიური განვითარების თეორიების შესახებ და ა.შ. თუმცა, საგამოცდო სისტემა ბოლომდე და სრულად ვერ ამოწმებდა მასწავლებელს. ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის ნახვა უშუალოდ გაკვეთილის პროცესში, ანუ რას აკეთებს პრაქტიკაში. ერთია, როცა მასწავლებელი ტესტის სახით პასუხს სცემს დავალებებს და მეორე, როგორ მუშაობს უშუალოდ გაკვეთილზე. ჩვენი ჯგუფი პროფესიული უნარების ტესტებზე მუშაობდა და, გარკვეულწილად, გვქონდა სიტუაციური დავალებები, რომელზე პასუხიც, მეტნაკლებად, იძლეოდა ინფორმაციას იმის შესახებ, მაგალითად, მასწავლებელი კონფლიქტურ სიტუაციაში რა ტიპის სტრატეგიებს იყენებს, სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, რა მეთოდებს მიმართავს და ა.შ. მაგრამ დამეთანხმებით, რომ პრაქტიკაში მასწავლებელზე დაკვირვება ძალიან მნიშვნელოვანია. ახალი სქემის მიხედვით, მასწავლებლების ოთხი კატეგორია გვაქვს: **პრაქტიკოსი** – მილევად რეჟიმში მომუშავე აქტიური მასწავლებელი, რომელიც არ არის სერტიფიცირებული; **უფროსი მასწავლებელი** – მუშაობს სკოლაში და არ არის სერტიფიცირებული ან ჩაბარებული აქვს უნარები და წარმატებით ჩააბარებს 2015 წელს საგნის გამოცდას, აქვს დოქტორის ხარისხი; **წამყვანი მასწავლებელი** – აქვს დოქტორის ხარისხი და არის სერტიფიცირებული; **მენტორი**.

დღეს სერტიფიცირებულია მასწავლებლების 20 პროცენტი, ისინი ავტომატურად ხდებიან უფროსი მასწავლებლები, ხოლო დანარჩენები, ვინც არ არიან სერტიფიცირებულები, შედიან პირველ საფეხურზე – პრაქტიკოსი მასწავლებლები. თუმცა, სქემაში გაწერილია უამრავი სხვადასხვა აქტივობა, რომლის მიხედვითაც მათ უნდა დააგროვონ გარკვეული კრედიტები, რათა ერთი სტატუსი მეორეთი შეცვალონ ან შეინარჩუნონ. ამ სქემაში ჩვენ პასუხისმგებლები ვართ გარე დაკვირვების კომპონენტზე. მასწავლებელმა, რომელიც ხვდება მეორე კატეგორიის საფეხურზე, ანუ ხდება უფროსი მასწავლებელი, იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ეს სტატუსი, აუცილებლად 19 კრედიტი უნდა დააგროვოს, აქედან გარე დაკვირვებას მინიჭებული აქვს 5 კრედიტი. დღევანდელი მონაცემებით, წამყვანი მასწავლებლის საფეხურზე სულ 200 მასწავლებელი ხვდება, ანუ არიან სერტიფიცირებულები და აქვთ დოქტორის ხარისხი, მაგრამ ნებისმიერმა მასწავლებელმა, ვინც ამ სისტემაშია, ერთხელ მაინც უნდა გაიაროს გარე დაკვირვების პროცესი, მათ შორის იმ 200-მა პედაგოგმაც.

გარე დაკვირვებას, ძირითადად, შემაჯამებელი ხასიათი აქვს და ის არ ემსახურება რაღაცის მინიჭებას, მხოლოდ სტატუსის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. სქემა შიდა დაკვირვებასაც ითვალისწინებს, რომელიც მთლიანად სკოლაზე გადადის და, გარე დაკვირვებისგან განსხვავებით, განმავითარებელი ხასიათი აქვს. ჯგუფს, რომელიც სკოლაში შეიქმნება შიდა დაკვირვებისთვის, ევალება, ამ დაკვირვების საფუძველზე, მასწავლებელს უჩვენოს უკუკავშირი, ანუ დაანახოს რა გამოასწოროს ან რა გააუმჯობესოს და ა.შ. მექანიზმს, რომელზეც ახლა ვმუშაობთ, მხოლოდ და მხოლოდ სტატუსის შენარჩუნების ფუნქცია ექნება. გარე დაკვირვებით, მასწავლებელს ვაფასებთ უშუალოდ გაკვეთილის პროცესში, რომლის მთავარი მიზანია, მოხერხდეს მასწავლებლის პროფესიული უნარების შემოწმება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, თუ რამდენად ბუნებრივი და გულწრფელი იქნება მასწავლებელი გაკვეთილის ჩატარების პროცესში, როდესაც მას ვიღაც აკვირდება. ეს გარკვეულ უხერხულობას შექმნის. ჩვენ გავეცანით საერთაშორისო გამოცდილებას, ინტენსიური ტრენინგები გავიარეთ უცხოელ ექსპერტებთან და აღმოჩნდა, რომ ამასთან დაკავშირებით ბევრი პრობლემა არსებობდა იმ ქვეყნებში, სადაც ეს მექანიზმი უკვე მეტნაკლებად გამართულად მუშაობს. როცა მასწავლებელი გრძნობს, რომ აკვირდებიან, თავისთავად, ქცევას ცვლის, ცოტა შეიძლება ხელოვნურობაც შესძინოს პროცესს. ბევრი ვიფიქრეთ, თუ როგორი შეიძლება იყოს გარე დაკვირვება.

რატომ ავირჩიეთ მეთოდი – ვიდეოგაკვეთილით შეფასება

მსოფლიოში საკლასო დაკვირვების ორად ორი მეთოდი არსებობს. ერთი – დამკვირვებელი-შემფასებელი მიდის გაკვეთილზე, დეტალურად გაწერილი შეფასების რუბრიკა უჭირავს, აკეთებს ჩანაწერებს – შენიშვნებს, რომელიც შეფასების ერთადერთი დოკუმენტია. მეორე – ვიდეოგაკვეთილები. ჩვენ ავირჩიეთ მეორე, იმიტომ, რომ არ შეიძლება ერთი გაკვეთილით შევაფასოთ მასწავლებელი. ცხადია ისიც, რომ არ შეიძლება მასწავლებელმა, ყოველდღე ერთნაირად კარგი გაკვეთილი ჩაატაროს. რაც მთავარია, პირველის შემთხვევაში, მასწავლებელს არ აქვს აპელაციის შესაძლებლობა, რადგანაც ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ხელში გვიჭირავს, ეს არის შემფასებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერები. ვიდეოგაკვეთილის შემთხვევაში კი ამის შესაძლებლობა გვეძლევა. სკოლაში, სადაც მოწყობილია კაბინეტი ვიდეოგაკვეთილის ჩასაწერად, მასწავლებელს საშუალება აქვს ჩაატაროს და ჩაიწეროს რამდენიმე, როგორც პედაგოგები ეძახიან, მუშა გაკვეთილი, რომელსაც ყოველდღიურად ატარებს და არა საჩვენებელი. რამდენიმე მცდელობის შემდეგ, ის ნახულობს ჩანაწერებს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელი გაკვეთილი ატვირთოს ვებგვერდზე, ეს ირიბად პედაგოგის თვითშეფასებასაც ამოწმებს. რაც მთავარია, პროცესს თავად უძღვება. პრინციპი ხომ ის არის, რამდენად შეუძლია მას კარგი გაკვეთილის ჩატარება და არა ის, რომ მუდმივად ასეთ გაკვეთილს ატარებს.

მოკლედ, შევჯერდით და შევთანხმდით იმაზე, რომ ეს უნდა იყოს არა უშუალო დაკვირვება (ეს ძალიან აპრობირებული მეთოდია და ბევრ ქვეყანაში იყენებდნენ), არამედ ვიდეოგაკვეთილები, რაც ნიშნავს იმას, რომ გაკვეთილები ჩაიწერება. იმის პრეტენზია, რომ მასწავლებელი პერმანენტულად ატარებს კარგ გაკვეთილს, ბუნებრივია, ამ შეფასებას ვერ ექნება, ეს შიდა შეფასების ფარგლებში უნდა მოხერხდეს და განხორციელდეს. ჩვენ პრეტენზია გვექნება დავადასტუროთ, რომ პედაგოგს კარგი გაკვეთილის ჩატარება შეუძლია (სისტემა დაადასტურებს, რომ კონკრეტულ პედაგოგს პოტენციაში შეუძლია კარგი გაკვეთილის ჩატარება).

როგორ განხორციელდება ვიდეოგაკვეთილის ჩაწერა

იმისთვის, რომ მასწავლებელმა ვიდეოგაკვეთილი ჩაწეროს, სამინისტრომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, ყველა სკოლაში ერთი საკლასო ოთახი ტექნიკით აღჭურვოს, სადაც მასწავლებლები გაკვეთილებს ჩაატარებენ და ჩაწერენ. ვიდეოგაკვეთილი ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასწავლებელს არ აქვს განცდა, რომ მის გაკვეთილზე დამკვირვებელი ზის და ჩანაწერებს აკეთებს. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, იმის ცოდნა, რომ გაკვეთილზე გიღებენ ვიდეოკამერებით, გარკვეულწილად, დისკომფორტს მაინც ქმნის. TALISS-ის კვლევაში იყო ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლების დიდი პროცენტი ამბობდა, რომ მათთვის არ არის უცხო გაკვეთილზე დაკვირვება, იგულისხმებოდა ღია გაკვეთილები. გარდა ამისა, ვიდეოგაკვეთილის უპირატესობა ობიექტურობის მეტად დაცვაცაა. გაკვეთილზე დამკვირვებლის მიერ გაკეთებულ ჩანაწერებს შეიძლება ახლდეს სუბიექტურობა. ვიდეოგაკვეთილის შემთხვევაში, შემფასებელმა შეიძლება რამდენიმეჯერ ნახოს ეს ჩანაწერი და, რაც მთავარია, არა ერთმა, არამედ რამდენიმე ადამიანმა. გარდა ამისა, როცა ჩვენ ვამბობთ, რომ გარე დაკვირვება ემსახურება სტატუსის შენარჩუნებას, შესაძლოა, პედაგოგებს შეფასების შედეგებთან დაკავშირებით გაუჩნდეთ პრეტენზიები. ვიდეოგაკვეთილი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პედაგოგმა შედეგები გაასაჩივროს და ის სააპელაციო კომისიამ განიხილოს, რადგანაც გადამოწმების საშუალებას სწორედ ვიდეოფირი იძლევა.

რაც მთავარია, ჩვენ ვეუბნებით პედაგოგებს, რომ ეს პროცესი მთლიანად მათ მიერ იქნება მართული, რასაც, რა თქმა უნდა, სკოლამ უნდა შეუწყოს ხელი. როდესაც მასწავლებელი გადაწყვეტს, რომ გაიაროს გარე დაკვირვება და მოემზადება ამისთვის, სპეციალურად აღჭურვილ საკლასო ოთახში რამდენიმე გაკვეთილს ჩაატარებს, ჩაწერს – თუ სურვილი აქვს, შეუძლია ხუთი ან შვიდი... გაკვეთილი ჩაწეროს. შემდეგ აირჩიოს ერთი ან რამდენიმე გაკვეთილი, რომელსაც ყველაზე საუკეთესოდ მიიჩნევს და ატვირთოს სპეციალურად გამოყოფილ ვებსივრცეში.

როდის დაიწყება გარე დაკვირვების პროცესი და რა ვადებში შეუძლია გაიაროს პედაგოგმა

სექტემბრიდან, როცა ახალი სქემა ამუშავდება, ყველა მასწავლებელი ხდება ამ სქემის ნაწილი, ხოლო 2016 წლიდან, როდესაც გარე დაკვირვების მექანიზმი უნდა ამოქმედდეს, მასწავლებლებს, 4 წლის განმავლობაში, მიეცემათ შესაძლებლობა, გაიარონ გარე დაკვირვება, ანუ მასწავლებელს, რომელიც გადავა მეორე საფუხურზე – უფროსი მასწავლებლის – 4 წლის განმავლობაში, სრულიად თავისუფლად, შეუძლია აირჩიოს დრო, როდის გადაწყვეტს გარე დაკვირვების გავლას. იმ ოთხი წლის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღება ნებაყოფლობითია, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის მითითებულ ვადაში ვერ ან არ გაივლის გარე დაკვირვებას და ვერ მიიღებს მისთვის განკუთვნილ 5 კრედიტს, ავტომატურად ჩამოდის ქვედა საფეხურზე – პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში, რომელიც, როგორც ვიცით, მილევადი კატეგორიაა და 4-6 წლის შემდეგ აღარ უნდა იარსებოს.

რაც შეეხება გაკვეთილის გადაღებას, პირველ რიგში გეტყვით, რომ შეიძლება ვერც ერთმა და ვერც ხუთმა გაკვეთილმა ვერ მოგცეს ინფორმაცია იმაზე, როგორ შეიძლება ატარებდეს მუდმივად მასწავლებელი გაკვეთილს. ეს, როგორც გითხარით, სკოლის პრეროგატივაა, სქემის მიხედვით, 4 ადამიანისგან შექმნილი ჯგუფი სკოლაში შიდა შეფასებას მოახდენს. მართალია, შიდა შეფასება არ არის შემაჯამებელი ხასიათის, ამით ისინი მასწავლებლებს არც სტატუსს ართმევენ და არც ანიჭებენ, არამედ ეხმარებიან იმაში, რომ პროფესიულად განვითარდნენ. რადგან გარე დაკვირვების მიზანია იმის დადასტურება, რომ მასწავლებელს შეუძლია კარგი გაკვეთილის ჩატარება, ამიტომ გადავწყვიტეთ, ვიდეოგაკვეთილების რაოდენობა იყოს ორი ან სამი, ანუ ერთი მასწავლებლის ორი ან სამი გაკვეთილი შეფასდეს. პედაგოგებს ვთხოვთ, ასევე, ვიდეოგაკვეთილების გარდა, გადმოგვიგზავნონ გაკვეთილის გეგმა და რეფლექსიის დოკუმენტი – როგორ აფასებენ ისინი თავიანთ გაკვეთილს. ეს დოკუმენტი ცალკე არ ფასდება და მასში ქულა არ იწერება, ის, უფრო მეტად, შემფასებელს დაეხმარება.

რას ემყარება შეფასების რუბრიკა

რუბრიკა, რომლის მიხედვითაც ვიდეოგაკვეთილები უნდა შეფასდეს, ბუნებრივია, მთლიანად ეყრდნობა მასწავლებელთა პროფესიულ სტანდარტს. მარტივად, რომ ვთქვათ, პროფესიულ სტანდარტში მითითებულია როგორი უნდა იყოს პედაგოგი, რა უნარები უნდა ჰქონდეს მას – ეს რუბრიკაც სწორედ ამას ითვალისწინებს და ამაში ახალი არაფერია.

ჩვენ მიერ აღებული შეფასების მოდელი ოთხ ძირითად სფეროს ემყარება – დაგეგმვა, საკლასო გარემო, სწავლება და პროფესიული პასუხისმგებლობა. თუმცა, გარე დაკვირვებისათვის, ანუ ის, რაც დაკვირვებადია, ორი სფეროა უფრო მნიშვნელოვანი – საკლასო გარემო და სწავლება. გაკვეთილის პროცესში ჩვენ ვერ ვაკვირდებით, თუ როგორ გეგმავს მასწავლებელი გაკვეთილს, როგორ ურთიერთობს კოლეგებთან, მშობლებთან და ა.შ. რამდენად კთილგანწყობილ გარემოს ქმნის კლასში და სწავლების პროცესში რა სტრატეგიებს იყენებს, როგორ ურთიერთობს მოსწავლეებთან და ა.შ.

გარე დაკვირვების მექანიზმისთვის მნიშვნელოვანი სფეროები – საკლასო გარემო და სწავლება – თავის მხრივ, ჩაშლილია კომპონენტებად. საკლასო გარემოში, როგორც გითხარით, იგულისხმება, რამდენად კეთილგანწობილია გარემო, როგორ მართავს მასწავლებელი კლასს და როგორ იყენებს არსებულ სასწავლო რესურსებს. მინდა აღვნიშნო, რომ, ზოგადად, კონცეფციაში, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით, ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ფიზიკურ გარემოს. მაგრამ, კლასის ფიზიკური გარემო მასწავლებელზე არ არის დამოკიდებული. გარდა ამისა, საქართველოში სკოლები ერთმანეთისგან, საკუთარი რესურსების მიხედვით, მკვეთრად განსხვავდებიან – არის ძალიან კარგად ან ცუდად აღჭურვილი სკოლები. ამიტომაც, მასწავლებლის ამ კომპონენტით შეფასება არ იქნება სამართლიანი. სწორედ აქედან გამომდინარე, ჩვენს რუბრიკაში უარს ვამბობთ ფიზიკური გარემოს მოწყობაზე – სასწავლო რესურსებზე, მაგრამ აუცილებლად მივიჩნევთ შეფასდეს, თუ რამდენად ადეკვატურადაა გამოყენებული სკოლაში არსებული რესურსი.

გარე დაკვირვების სქემა

შეფასებისას მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეებთან კომუნიკაცია – როგორი ტიპის კომუნიკაციას ამყარებს პედაგოგი მოსწავლეებთან, რა ტიპის სტრატეგიებს იყენებს და რამდენად ადეკვატურად, რამდენად ზრუნავს მოსწავლეების ჩართულობაზე და რა ტიპის შეფასებას იყენებს.

როგორ იწერება ძულები? რომელ კომპონენტს როგორი წონა ექნება, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

რუბრიკა, რომელზეც ვმუშაობთ, როგორც გითხარით, ოთხდონიანია. გარდა იმისა, რომ გარედაკვირვება შეაფასებს მასწავლებელს და დაადასტურებს გაიარა თუ არა ის, დაგვანახებს, რომელ დონეზეა მასწავლებელი. პედაგოგმა შეიძლება გაიარა გარე დაკვირვება, მაგრამ ის მესამე ან მეოთხე დონეს აკმაყოფილებს. ჩვენი მიზნისთვის, რომელიც სტატუსის შენარჩუნებას ან არშენარჩუნებას ემსახურება, სრულიად საკმარისი იყო ორდონიანი სისტემაც – გაიარა ან ვერ გაიარა. მაგრამ, ვინაიდან, შიდა შეფასება, რომელიც სკოლის პრეროგატივაა და მასწავლებლის განვითარებისთვის გამოიყენება (ეს რუბრიკაც ჩვენ უნდა შევიმუშაოთ), ძალიან დაეხმარება შემფასებლებსა და პედაგოგებს, ნახონ, რომელ დონეს იკავებს მასწავლებელი.

ვინ შეაფასებს ვიდეოგაკვეთილებს?

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – ვინ უნდა შეაფასოს ვიდეოგაკვეთილები? ჩვენი რუბრიკა ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, ანუ გვაქვს შავი ვერსია, რომელიც საკმაოდ დიდი, დაახლოებით 100-გვერდიანი გამოგვივიდა. რუბრიკამ სექტემბრიდან პილოტირება უნდა გაიაროს, რაც საშუალებას მოგვცემს, საბოლოო ვარიანტის სახე მივცეთ და ვთქვათ, რომ ეს არის რუბრიკა, რომელიც უნდა გამოვიყენოთ გარე დაკვირვების პროცესში. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ რუბრიკაში აქცენტი არ გაკეთდება შინაარსობრივ მხარეზე, რადგანაც მასწავლებელს, რომელმაც გარე დაკვირვება უნდა გაიაროს, მას საგნობრივი კომპეტენცია უკვე გამოცდით აქვს დადასტურებული. თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ თუ ადგილი ექნება უხეშ შინაარსობრივ შეცდომას, ამაზე თვალის დახუჭვა რთული იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ გაკვეთილი საგნის სპეციალისტებმა უნდა შეაფასონ, რადგან მათ უკეთ შეუძლიათ განსაზღვრონ, რამდენად სწორად გამოიყენა კონკრეტული სტრატეგია კონკრეტული საგნის მასწავლებელმა – მაგალითად, მათემატიკის ან ფიზიკის რომელიმე საკითხის ახსნისას. ამიტომაც, შემფასებლები საგნის სპეციალისტები უნდა იყვნენ.

დავუბრუნდები ისევ შემფასებლებს – ვინ შეაფასებს ამ რუბრიკას. ასეთი ადამიანი ჯერ ბუნებაში არ არსებობს. ამისთვის აუცილებელია, რომ გავიაროთ პილოტირების პროცესი, რითაც რუბრიკას ვაქცევთ საბოლოო ქმედით მექანიზმად. მას შემდეგ მოვიძიებთ ადამიანებს, რომლებიც შეფასებას შეძლებენ. მართალია, ამის კომპეტენცია ჯერ არავის არ ექნება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შემფასებლები ის ადამიანები იქნებიან, რომელთაც ამ სფეროსთან შეხება და გამოცდილება ექნებათ. არ ვფიქრობთ, რომ ისინი აუცილებლად მხოლოდ პედაგოგები იქნებიან, შესაძლოა განათლების სპეციალისტები იყვნენ. სხვათა შორის, ერთ-ერთმა უცხოელმა ექსპერტმა გვითხრა, რომ პედაგოგები ყველაზე ცუდი შემფასებლები არიანო, მათ სტერეოტიპები აქვთ შემუშავებული და შეფასების პროცესში სწორედ სტერეოტიპებით მოქმედებენო. მთავარია, ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გარკვეული გამოცდილება აკავშირებთ სკოლასთან და ძალიან კარგად ეცოდინებათ ეს რუბრიკა – შეფასების სქემა. ბუნებრივია, ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ, ვცდილობთ, შევქმნათ სატრენინგო მოდული, რომელიც რუბრიკის სწავლებას მოემსახურება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ადამიანი გახდეს შემფასებელი. სავარაუდოდ, ერთი მასწავლებლის ორ ან სამ ვიდეოგაკვეთილს ნახავს არა ერთი, არამედ ორი შემფასებელი და საჭიროების შეთხვევაში – მესამეც.

მთელი საქართველოს მასშტაბით გვქონდა შეხვედრები მასწავლებლებთან. ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც მუშაობის პროცესში წავაწყდით, იყო ის, რომ არ გვქონდა სამუშაო მასალა, რომელსაც ამ რუბრიკისთვის გამოვიყენებდით. თავიდან ინტერნეტსივრცეში დავიწყეთ ვიდეოგაკვეთილების ძებნა, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ძირითადად, არის შემაჯამებელი ხასიათის გაკვეთილები, რომელიც ვერ იქცა ჩვენთვის კარგ სასწავლო მასალად. გეტყვით, იმასაც, რომ ამერიკაში ინგლისურად ჩატარებული ვიდეოგაკვეთილი ვერ იქნება კარგი მასალა რუბრიკისთვის, რომელიც საქართველოში უნდა გამოვიყენოთ. სწორედ ამის გამო, ჩვენ აღმოვაჩინეთ მოხალისე პედაგოგები, რომლებიც დაგვთანხმდნენ გაკვეთილების ჩაწერაზე. დაგვიგროვდა სხვადასხვა რეგიონის მოხალისე პედაგოგების მიერ ჩატარებული გაკვეთილების ვიდეომასალა, რომელზეც ვმუშაობთ და ვაფასებთ – ეს პროცესი ემსახურება რუბრიკის დახვეწას, სანამ მივალთ პილოტირებამდე. ამ მოხალისე პედაგოგებს, თავის მხრივ, აქვთ ძალიან დიდი ინტერესი, რადგანაც გაკვეთილების ნახვის შემდეგ ჩვენ მათ ვწერთ, რა იყო კარგი, რა გააუმჯობესონ და ა.შ.

საბედნიეროდ, აღმოჩნდა ძალიან ბევრი მოხალისე მასწავლებელი, რომელიც დაგვთანხმდა მონაწილეობა მიიღოს სამუშაო პროცესში, ჩაიწეროს გაკვეთილები, თავიდან თუნდაც კუსტარულად, რომელიც ანონიმურია, კონფიდენციალურობა დაცულია. ძალიან ბევრი სამუშაო მასალა დაგროვდა. მოხალისე მასწავლებლები, 2016 წელს, იოლად გაივლიან გარე დაკვირვებას, რადგან მათ გარკვეული გამოცდილება უკვე ექნებათ. პოტენციური გამსწორებელი სწორედ ის იქნება, ვისაც წარმატებით აქვს გავლილი გარე დაკვირვება, რომელმაც ზუსტად იცის რა როგორ უნდა გაკეთდეს. შემდეგ ეტაპზე, სწორედ ამ პედაგოგებისგან შევარჩევთ შემფასებლებს. მანამ კი, მართლა გაგვიჭირდება ასეთი ადამიანების პოვნა.

ძალიან მნიშვნელოვანია ტექნიკაც, მარტივად რომ ვთქვა – უნდა ჩანდეს და ისმოდეს ყველაფერი. ჩვენ ვცადეთ და ჩავიწერეთ რამდენიმე გაკვეთილი, აღმოვაჩინეთ ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად, ერთ ჩანაწერში იყო ხმის ხარვეზი, მეორე ჯერზე მიკროფონი მასწავლებელს მკერდზე დავამაგრეთ, შედეგი გამოსწორდა. ამიტომაც, საკლასო ოთახი, სადაც გაკვეთილი ჩაიწერება, უნდა აღიჭურვოს ისეთი პარამეტრების ტექნიკით, რომელიც გაკვეთილების უხარვეზო ჩაწერას უზრუნველყოფს.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

მანდატურები ქვემო ქართლის სკოლებში პირველად შევლენ

ქვემო ქართლის რამდენიმე რაიონის შვიდ საჯარო სკოლაში მანდატურები პირველად შევლენ და თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან. ეს რაიონებია: მარნეული, ბოლნისი და გარდაბანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებათა მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მანდატურებს შეხვდა და მათ წარმატებები უსურვა. შეხვედრა მარნეულის მეექვსე საჯარო სკოლაში გაიმართა.

ამ ეტაპზე მანდატურები, საქართველოს მასშტაბით, 409 საჯარო და სამ კერძო სკოლაში, ორ პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. კვლავ დიდია მოთხოვნა იმ სკოლებიდანაც, სადაც მანდატურის სამსახური ჯერ კიდევ არ არის.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახურმა მნიშვნელოვანი თვისობრივი და შინაარსობრივი ცვლილება განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ინსტიტუცია, რომელიც სკოლას კომპლექსურ მომსახურებას სთავაზობს მანდატურის, ფსიქოლოგიური ცენტრებისა და სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სახით.

მნიშვნელოვნად შეიცვალა მანდატურის ფუნქცია და დღეს იგი ორიენტირებულია მოსწავლის/სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისა და პედაგოგის უსაფრთხოებაზე, დანაშაულის პრევენციაზე. შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მანდატურის სამსახურის მიმართ საზოგადოების ნდობა, გასულ წელთან შედარებით 21%-ით შემცირდა საჯარო სკოლაში მომხდარი დანაშაულის რიცხვი.

მანდატურები მუდმივად ეცნობიან საერთაშორისო გამოცდილებას და, ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, იმაღლებენ კვალიფიკაციას, მიმდინარეობს მათი გეგმაზომიერი გადამზადება ახალი პროგრამების მიხედვით.

მანდატურის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: UNICEF, USAID, PH International და NASRO. ეს თანამშრომლობა ეფექტურს ხდის საქმიანობას. მსგავსი ტიპის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა – დავიწყეთ ისეთი რეგიონების დაფარვა, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ. მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ეს რეგიონები, ეს რაიონები ჩაერთვებიან უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის კონცეფციის განხორციელებაში, რომელიც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ბოლო წლების განმავლობაში.*

მანდატურის სახეცვლილმა სამსახურმა, გაუმჯობესებულმა ფუნქციებმა, მაღალმა საკვალიფიკაციო მოთხოვნებმა განაპირობა ის, რომ დღეს მანდატური მართლაც მოთხოვნადი გახდა სკოლებიდან. ჩვენ ნელ-ნელა ვპასუხობთ ამ მოთხოვნებს და მანდატურები შეგვყავს იმ დიდკონტინგენტიან სკოლებში, სადაც მათი ყოფნა აუცილებელია.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის საჭირო გახდა ახალი პროგრამების შემუშავება, რომ მომზადება ყოფილიყო არა მარტო ქართულ, არამედ კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის მშობლიურ ენაზეც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მინდა მივულოცო ყველა იმ სკოლას, სადაც მანდატურის სამსახური შევიდა და ვუსურვო წარმატება. ერთიანი მიდგომით და ერთი იდეის გარშემო გაერთიანებით, ვფიქრობ, მიღწეულია წარმატება.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ განახლებული სამსახურის ფარგლებში, 2013-14 წლების სტატისტიკური მონაცემებით, სკოლებში დანაშაული შემცირებულია, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რეფორმა, რომელიც განვახორციელეთ, ნამდვილად წარმატებული იყო. ამ რეფორმის ბენეფიციარი რაც შეიძლება მეტი სკოლა უნდა გახდეს.“

მაია ჩხიკვინაძე, მანდატური: *„ახალი თაობა ჩვენი მომავალია და ვფიქრობ, რომ გარკვეული წვლილი შეგვაქვს მათ აღზრდაში. იმედია, ჩვენი შრომით და დირექციის დახმარებით, მივაღწევთ შედეგს.“*

კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვებულები აშშ-ში გაემგზავრნენ

ნორჩ გამომგონებელთა კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ გამარჯვებული მოსწავლეები მსოფლიოში უდიდესი კონკურსის, ინტელის საერთაშორისო საინჟინრო გამოფენაში – Intel ISEF – მიიღებენ მონაწილეობას. ქართველი მოსწავლეები ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ. მათ გამოგონებებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები პიტსბურგში დაგეგმილ გამოფენაზე გაეცნობიან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნორჩ გამომგონებელთა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი“ ყოველწლიურად ატარებს. კონკურსის მიზანია მეცნიერებითა და ინოვაციით დაინტერესებული, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, მათი წახალისება, სწავლის დონის ამაღლების, ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდთა ინტერესის გაღვივების, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ გრან-პრის მფლობელები არიან: **თემურ ჩიჩუა**, **ალექსანდრე თოიძე** და **ნიკოლოზ მინაშვილი**. პირველი ადგილი **ვახტანგ დონაძემ** და **ირაკლი ჩხეიძემ** დაიკავეს, მეორე ადგილი – **ირაკლი კაპანაძემ** და **კარლო ხუციშვილმა**, ხოლო მესამე ადგილი – **ნიკა ალავიძემ**.

კონკურსის ჩატარებას და ადმინისტრირებას სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი უზრუნველყოფს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების გამგზავრება ინტელის ფონდმა დააფინანსა.

სამეცნიერო სფეროში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, სამეცნიერო მიმართულებებით მოზარდების ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაინტერესება სამომავლოდ ხელს უწყობს ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებასა და განვითარებას.

თინათინ ბოჭორიშვილი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე: *„შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ყოველ წელს ატარებს ნორჩ გამომგონებელთა კონკურსს „ლეონარდო და ვინჩი“. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს უწყობს მოსწავლეებს, რომ უკეთ შეისწავლონ ახალი აღმოჩენები, მონაწილეობა მიიღონ კონკურსებში, ინტერესი გაუღვივდეთ ტექნიკური პროგრესის მიმართ და გაიუმჯობესონ სწავლების დონე. Intel ISEF-ის უდიდესი ფონდის დაფინანსებით, წელს, რვა მოსწავლე მიიღებს კონკურსში მონაწილეობას და იმედი გვაქვს, რომ გამარჯვებულები დაბრუნდებიან მსოფლიოს უდიდესი კონკურსიდან.“*

თემურ ჩიჩუა, კონკურსის გამარჯვებული: *„ჩვენ ვართ კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის“ ფინალისტები, მოვიპოვეთ Intel ISEF-ის ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსის საგზურები. წელს ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, პიტსბურგში, იმართება. ჩვენი სამეცნიერო პროექტებით იქ საქართველოს ინტერესებს დავიცავთ.“*

მერაბ ლაბაძე, „ინოვაციური განათლების ფონდი“: *„ჩვენი ფონდი წარმოადგენს ინტელის პარტნიორს საქართველოში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებულია „ლეონარდო და ვინჩის“ გამარჯვებულების მონაწილეობის უზრუნველყოფა მსოფლიოს უდიდეს კონკურსში Intel ISEF. ის ყოველწლიურად ტარდება და მასში 2000-მდე წარჩინებული წარმატებული მოსწავლე-გამომგონებელი თუ მეცნიერი მონაწილეობს, დაახლოებით 70 ქვეყნიდან. შესარჩევ ტურებში 2 მილიონზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს.*

საქართველო ამ კონკურსში მეორედ მონაწილეობს, წარდგენილია ოთხი პროექტი, ძირითადად, ინჟინერიაში. იმედი გვაქვს, რომ წელს, ისევე როგორც შარშან, წარმატებას მოვიპოვებთ.“

პედაგოგთა დასახმარებლად

მეგი როსტიაშვილი-წიკლაური

რუსული ენა

ИНТЕГРАЦИЯ РАЗЛИЧНЫХ ВИДОВ РЕЧЕВОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ НА УРОКАХ РКИ

Продолжение

Урок№5

Число	
Предмет	Русский язык
Учитель	Ростиашвили-Циклаури Меги Робинзоновна
Тема урока	Рассказ И.С.Тургенева «Нищий».
Количество учеников	16
Класс/уровень	XI(ს-V)
Цель урока	• Выработать у учащихся навык использования необходимых стратегий чтения для понимания содержания текста. • Выработать навык излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Связь со Стандартом	**უცხ.ს.V.6. მოსწავლეს შეუძლია ადაპტირებული მოთხრობის/ ნოველის წაკითხვა და გაგება.** **უცხ.ს.V.8. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების, ნასწავლი ენობრივი ფორმებისა და მათი ფუნქციის ამოცნობა შინაარსიან კონტექსტში.** **უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).*** **უცხ.ს.V.15. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა მისთვის ნაცნობ თემებზე, საკითხებზე.** **უცხ.ს.V.11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს ესე/წერილი, რომელშიც გადმოსცემს საკუთარ შთაბეჭდილებებს, თვალსაზრისებს *(მაგ., მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, გამოხმაურებას ნანახ სპექტაკლზე/ჩატარებულ ღონისძიებაზე და სხვ.).***
Задачи урока	• Выработать у учащихся навык определения и группировки различных фраз и слов по данной теме. • Выработать у учащихся навык выделять основную информацию из текста. • Выработать у учащихся навык вероятностного прогнозирования. • Выработать у учащихся навык нахождения сходств и различий в тексте. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в устной форме. • Выработать у учащихся навык изложения собственных мыслей, впечатлений и отношения к данному вопросу в письменной форме.
Результаты урока	• Учащиеся могут использовать необходимые стратегии чтения для понимания содержания текста. • Учащиеся могут излагать собственные мысли, впечатления и отношение к данному вопросу в устной и письменной форме.
Описание активностей/последовательность урока	I. Организационный момент. II. Основная часть урока. 1) Ученики смотрят видеосюжет «О нуждающихся в помощи людях». (3 мин.) • Как вы считаете, насколько важно общаться со сверстниками? Обсуждение. (3 мин.) 2) Класс делится на группы. Каждый ученик получает задания. Ученики выполняют лексические упражнения индивидуально. Обсуждают в группе.Читают ответы. (3 мин.) 1. Соедините слова (синонимы / антонимы). Впишите ответы в таблицу.

1. исхудалые	А) как будто
2. тяжко	Б) худые
3. словно	В) светлые
4. сквозь	Г) милостыня
5. недруг	Д) через
6. покинули	Е) тяжело
7. лучистые	Ж) враг
8. бедняк	И) нищий
9. подаяние	З) оставили
10. встрепенулся	К) вздрогнул

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
Б	Е	А	Д	Ж	З	В	И	Г	К

2. Соедините фразы. Впишите ответы в таблицу. (3 мин.)

1. шёл по улице	А) некому было помочь
2. шатался на ходу	Б) иди и проси милостыню
3. вскинул глазами	В) проходил по улице
4. его осенила тихая радость.	Г) с трудом стоял на ногах
5. одежда на нем висела лохмотьями	Д) посмотрел внимательно
6. здоровье истратил	Е) он почувствовал радость
7. горько ему было на сердце	Ж) старая,порванная одежда висела на нём
8. протягивали руку	З) не заботился о своём здоровье
9. не над кем было бы тебе показать свою добродетель	И) ему было больно
10. ступай, протягивай руку	К) просили о помощи

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
В	Г	Д	Е	Ж	З	И	К	А	Б

Описание активностей/последовательность урока	3. Ученики читают текст и выполняют задание 3. (13 мин.)

Милостыня

Вблизи большого города, по широкой проезжей дороге шел старый, больной человек.

Он шатался на ходу; его исхудалые ноги, путаясь, волочась и спотыкаясь, ступали тяжко и слабо, словно чужие; одежда на нем висела лохмотьями; непокрытая голова падала на грудь… Он изнемогал.

Он присел на придорожный камень, наклонился вперед, облокотился, закрыл лицо обеими руками – и сквозь искривленные пальцы закапали слезы на сухую, седую пыль.

Он вспоминал…

Вспоминал он, как и он был некогда здоров и богат – и как он здоровье истратил, а богатство роздал другим, друзьям и недругам… И вот теперь у него нет куска хлеба – и все его покинули, друзья еще раньше врагов… Неужели ж ему унизиться до того, чтобы просить милостыню? И горько ему было на сердце и стыдно.

А слезы все капали да капали, пестря седую пыль.

Вдруг он услышал, что кто-то зовет его по имени; он поднял усталую голову и увидал перед собою незнакомца.

Лицо спокойное и важное, но не строгое; глаза не лучистые, а светлые; взор пронзительный, но не злой.

– Ты все свое богатство роздал, – послышался ровный голос… – Но ведь ты не жалеешь о том, что добро делал?

– Не жалею, – отвечал со вздохом старик, – только вот умираю я теперь.

– И не было бы на свете нищих, которые к тебе протягивали руку, – продолжал незнакомец, – не над кем было бы тебе показать свою добродетель, не мог бы ты упражняться в ней?

Старик ничего не отвечал – и задумался.

– Так и ты теперь не гордись, бедняк, – заговорил опять незнакомец, – ступай, протягивай руку, доставь и ты другим добрым людям возможность показать на деле, что они добры.

Старик встрепенулся, вскинул глазами… но незнакомец уже исчез; а вдали на дороге показался прохожий.

Старик подошел к нему – и протянул руку. Этот прохожий отвернулся с суровым видом и не дал ничего.

Но за ним шел другой – и тот подал старику малую милостыню.

И старик купил себе на данные гроши хлеба – и сладок показался ему выпрошенный кусок-и не было стыда у него на сердце, а напротив: его осенила тихая радость.

(по И.С.Тургеневу).

4. Подберите соответствующие словосочетания и предложения.

И.С. Тургенев «Милостыня».	Подберите соответствующие словосочетания и предложения.
1. Внешний вид старика	А) Старик встрепенулся, вскинул глазами… но незнакомец уже исчез; а вдали на дороге показался прохожий. Старик подошел к нему – и протянул руку. Этот прохожий отвернулся с суровым видом и не дал ничего. Но за ним шел другой – и тот подал старику малую милостыню.
2. Походка	Б) И старик купил себе на данные гроши хлеба – и сладок показался ему выпрошенный кусок – и не было стыда у него на сердце, а напротив: его осенила тихая радость.
3. Одежда	В) По широкой проезжей дороге шел старый, больной человек
4. Поведение старика	Г) Он шатался на ходу; его исхудалые ноги, путаясь, волочась и спотыкаясь, ступали тяжко и слабо, словно чужие
5. Воспоминание	Д) Одежда на нем висела лохмотьями; непокрытая голова падала на грудь.
6. Состояние	Е) Он присел на придорожный камень, наклонился вперед, облокотился, закрыл лицо обеими руками – и сквозь искривленные пальцы закапали слезы на сухую, седую пыль.
7. Незнакомец	Ж) Вспоминал он, как и он был некогда здоров и богат – и как он здоровье истратил, а богатство роздал другим, друзьям и недругам… И вот теперь у него нет куска хлеба – и все его покинули, друзья еще раньше врагов…
8. Реплики незнакомца	З) Неужели ж ему унизиться до того, чтобы просить милостыню? И горько ему было на сердце и стыдно. А слезы все капали да капали, пестря седую пыль.
9. Как поступил старик после разговора с незнакомцем?	И) Лицо спокойное и важное, но не строгое; глаза не лучистые, а светлые; взор пронзительный, но не злой.
10. Тихая радость.	К) – Ты все свое богатство роздал, – послышался ровный голос… – Но ведь ты не жалеешь о том, что добро делал? – И не было бы на свете нищих, которые к тебе протягивали руку, – продолжал незнакомец, – не над кем было бы тебе показать свою добродетель, не мог бы ты упражняться в ней? – Так и ты теперь не гордись, бедняк, – заговорил опять незнакомец, – ступай, протягивай руку, доставь и ты другим добрым людям возможность показать на деле, что они добры.

პედაგოგთა დასახმარებლად

Описание активностей/последовательность урока

Впишите ответы в таблицу.

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
В	Г	Д	Е	Ж	З	И	К	А	Б

5. Ответьте на вопросы по тексту.

Вопросы	Выберите правильный вариант
Кто шёл по дороге?	а) нищий, дряхлый старик. **б) старый, больной человек.** в) старый человек.
О чём вспоминал старик?	**а) Старик вспоминал, как и он был некогда здоров и богат.** б) Старик вспоминал, как ему помогали друзья. в) Старик вспоминал, как он болел.
О чём думал старик?	а) Он не хотел унижатся. б) Ему не стыдно было просить милостыню. **в) Горько ему было на сердце и стыдно просить милостыню.**
Что сказал незнакомец?	**а) надо и другим дать возможность совершать добрые дела.** б) надо всегда делать добрые дела. в) надо всегда благодарить за помощь.
Что понял старик?	**а) сладок выпрошенный хлеб.** б) просить о помощи не имеет смысла. в) нельзя стыдиться своего положения.

6. Составьте небольшой диалог в парах. Спросите своего напарника: «Как я помог ближнему,человеку, нуждающемуся в помощи?» Разыграйте диалоги. (10 мин.)

III. Заключительная часть урока.

7. Выполните следующие задания.

Аргумент	Факты (Восстановите последовательность	Ответы	Комментарий (Как вы понимаете это высказывание?)
«Не гордись, бедняк, ступай, протягивай руку, доставь и ты другим добрым людям возможность показать на деле, что они добры.»	Он присел на придорожный камень, наклонился вперед, облокотился, закрыл лицо обеими руками – и сквозь искривленные пальцы закапали слезы на сухую, седую пыль.		
	Вблизи большого города, по широкой проезжей дороге шел старый, больной человек.		
	Вдруг он услышал, что кто-то зовет его по имени; он поднял усталую голову и увидал перед собою незнакомца.		
	И старик купил себе на данные гроши хлеба – и сладок показался ему выпрошенный кусок – и не было стыда у него на сердце, а напротив: его осенила тихая радость.		
	Он шатался на ходу; его исхудалые ноги, путаясь, волочась и спотыкаясь, ступали тяжко и слабо, словно чужие; одежда на нем висела лохмотьями; непокрытая голова падала на грудь… Он изнемогал. – Ты все свое богатство роздал, – послышался ровный голос… – Но ведь ты не жалеешь о том, что добро делал?		
	Вспоминал он, как и он был некогда здоров и богат – и как он здоровье истратил, а богатство роздал другим, друзьям и недругам… И вот теперь у него нет куска хлеба – и все его покинули, друзья еще раньше врагов… Неужели ж ему унизиться до того, чтобы просить милостыню? И горько ему было на сердце и стыдно.		

Оценивание учащихся	Индивидуальные схемы оценки. Оценка учителем групповой работы учащихся. Определяющая индивидуальная оценка каждого ученика по схемам после проверки работ учащихся.
Ресурсы	Видеосюжет, текст, задания, схемы, оценочные схемы, маркеры и листы формата А4

სევდიანი გზა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, **ვანო ნატროშვილის** პატრონაჟით და თავმჯდომარის მოადგილის არაერთი საინტერესო პროექტის ავტორის, ღირსების ორდენის კავალერის, **ნანა ჭიჭინაძის** ინიციატივით, გაიმართა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **გოდერძი ჩოხელის** ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. პროექტის მხარდამჭერი გახლდათ მუნიციპალიტეტის გამგებელი **ნიკოლოზ ჯანიაშვილი**, საინფორმაციო მხარდამჭერი – გაზეთი „შირაქი“ და ტელეარხი ობიექტივი – თოქშოუ „დედოფლისწყაროს საათი ილია მარტყოფლიშვილთან ერთად“.

IX კლასის მოსწავლეებმა – **ნათია კობაიძემ** და **ბარბარე წიკლაურმა** – ბრწყინვალედ წაიყვანეს საღამო, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის ფონზე, დამსწრე საზოგადოებას გოდერძი ჩოხელის ცხოვრება და შემოქმედება გააცნეს.

61 წელი გავიდა მწერლის დაბადებიდან, 8 წელი – გარდაცვალებიდან. ყველაზე მთავარი მერე დაიწყო... მხოლოდ დროს შეუძლია დაამოწმოს, სჭირდები თუ არა ქვეყანას. განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ არათუ დაიკარგა ინტერესი გოდერძი ჩოხელის მიმართ, არათუ გაქრა მისი სახელი ლიტერატურის ისტორიიდან, არამედ – პირიქით, გამძაფრდა მონატრება და მის შემოქმედებასთან შეხვედრის სურვილი ქართველ მკითხველში.

ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ V-XII კლასების მოსწავლეები, რომელთაც თავი დაგვამახსოვრეს როლების საუკეთესო შესრულებით. მოსამართლის მანტია შესანიშნავად მოირგო V კლასის მოსწავლემ **დათო უსტარაშვილმა** (საზიარო ყვავი); 9 შეკითხვა სიყვარულის რაობისთვის საინტერესოდ წარმოადგინეს IX კლასის მოსწავლეებმა; შეკითხვებს ოსტატურად სვამდა **ვალერი კობაიძე**; X კლასის მოსწავლის **სალომე ოგბაიძის** მიერ შესრულებულმა სიმღერებმა დაატკბო მსმენელი; ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა მოწაფეებმა ტრადიციული ცეკვებით ცეცხლი დაანთეს სცენაზე; მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს VI კლასის მოსწავლეები – **ნინო მნათობიშვილი** და **გიორგი წიკლაური** – ქართული ცეკვის შესრულებისთვის.

ამაღელვებელი იყო XI კლასის მოსწავლის **ქეთი უსტარაშვილის** მიერ გადმოცემული რეალური ეპიზოდები მწერლის ცხოვრებიდან. სკოლის სააქტო დარბაზი მაყურებელს ვერ იტევდა. აქ იყო მთელი სოფელი. *„დიდი ხანია ამ მასშტაბის საღამო არ ჩატარებულა ჩვენს სოფელში“* – აღნიშნა სოფელ არხილოსკალოს ადმინისტრაციულ ერთეულში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა **ემზარ კობაიძემ** და მადლიერება გამოხატა პროექტის ავტორის მიმართ – *„ჩვენი სერვანტესი – გოდერძი ჩოხელია“*. ამიერიდან, როგორც სკოლის დირექტორმა **მაია სიმონიძემ** ბრძანა: *„დავაწესებთ გოდერძი ჩოხელის დღეს და ყოველწლიურად აღვნიშნავთ, რათა ახალგაზრდა თაობა უკეთ გაეცნოს მის ფენომენს. გოდერძის პირადად ვიცნობდი და შემიძლია გითხრათ, რომ თვითონაც ვერ აცნობიერებდა რა დონის მწერალი იყო. ის ასეთი დაიბადა, ძალიან სხვანაირი ბუნების. გოდერძი ჩოხელი კლასიკოსია და მისი შემოქმედება ყველა დროს და საზოგადოებას მიესადაგება, მას ხშირად ვადარებთ ვაჟა-ფშაველას, რაც შემთხვევითი არ არის“.*

სახალხო მთქმელის, ივანე წიკლაურის ვაჟმა – ბესიკმა და სკოლის პედაგოგმა – **დალი ლეკაშვილმა** მწერალთან შეხვედრა გაიხსენეს და მის საოცარ უბრალოებას გაუსვეს ხაზი.

მწიგნობართა ასოციაციამ, სპეციალური სტუმრის სტატუსით, მოიწვია არხილოსკალოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, პირველი ოქროსმედალოსანი – **მაია წიკლაური**, რომელიც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია. მის სახელს უკავშირდება რამდენიმე მონოგრაფია გოდერძი ჩოხელზე, რომელიც საჩუქრად გადასცა სკოლის ბიბლიოთეკას. *„გოდერძი ჯერ მწერალია, მერე – სცენარისტი, შემდეგ უკვე – რეჟისორი და სწორედ ამ თანამიმდევრობაში იკითხება ყველაზე სრულყოფილად მისი მნიშვნელობა. ამიტომაც შეუძლებელია უპასუხო შეკითხვას – უფრო კარგი მწერალი იყო თუ რეჟისორი? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რასაც წერდა, ხედავდა და კიდეც იღებდა მხატვრულ ფილმებს. მისმა ფილმმა „ცოდვის შვილები“ გრან-პრი მოიპოვა. იაპონელებმა ისეთი რამ თქვეს მასზე, რასაც ძალიან იშვიათად ამბობენ – მას სამურაების დონეზე აქვს აყვანილი ზნეობაო... ძალიან მიხარია, რომ მის სიცოცხლეშივე გამოვეცი წიგნი „გოდერძი ჩოხელი ერისა და მთის შვილი“, რომლითაც უზომოდ კმაყოფილი დარჩა“.*

საღამოს დასასრულს სიტყვით გამოვიდნენ: მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრი, გაზეთ „შირაქის“ დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**, დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ეთერ ზურიკაშვილი**, იდეის თანაავტორი, ფარმაცევტი **ნათელა ღრუბელაშვილი-კობაიძე** და არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორი, ღონისძიების სულისჩამდგმელი – **მაია სიმონიძე**, რომელმაც მადლობა გადაუხადა **ნანა ჭიჭინაძეს**, **ნიკოლოზ ჯანიაშვილს**, **ვანო ნატროშვილს**, სასწავლო ნაწილის გამგეს **მარინე მნათობიშვილს**, სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს საინტერესო ღონისძიებისათვის.

შემოქმედებითი საღამო დასრულდა VI კლასის მოსწავლის, **ნიკუშა ქავთარაძის** მიერ მომზადებული სლაიდშოუთი, რომელიც მწერლის მოღვაწეობაზე მოგვითხრობდა.

მარიკა პოპიაშვილი

ბავშვთა უფლებები

გაუწოდეთ ბავშვს ხელი და არა ფული

ლალი ჯელაძე

სამი წლის წინ, საქართველოში, ქუჩაში მყოფი ბავშვების დასახმარებლად შეიქმნა პროგრამა, რომლის მიზანი ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის სახელმწიფო მექანიზმებისა და სერვისების შემუშავება და ამოქმედება იყო. პროექტისთვის ევროკავშირმა 750 ათასი ევრო გაიღო, ხოლო იუნისეფმა – 75 ათასი. პროექტის დასაწყისი – 2012 წლის აგვისტო, ხოლო დასასრული 2015 წლის მაისია. *„ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე, განსაკუთრებით ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე“* – ამ ინიციატივის ძირითადი ამოცანა ბავშვების ჰარმონიული განვითარება და სოციალური ინტეგრაციაა.

პროექტს ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებთან, თბილისის და ქუთაისის მერიებთან თანამშრომლობით.

რა გაკეთდა პროგრამის ფარგლებში ყველაზე დაუცველი ბავშვებისთვის და რამდენად ეფექტურია ასეთი ტიპის პროგრამის ამოქმედება – ამის გასაცნობად პროექტის ორგანიზატორებისა და მათში ჩართული უწყებების ერთობლივი შეხვედრა გაიმართა მედიის და საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისაც ამ ბავშვების ბედი აღელვებს.

ინიციატივის ფარგლებში ამოქმედდა მომსახურებები და მექანიზმები, რომლებიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს გამოავლენენ და დაუყონებლივ დახმარებას და დაცვას შესთავაზებენ. ბავშვებს სათანადო, მათზე ინდივიდუალურად მორგებულ მომსახურებებს აწვდიან არასამთავრობო ორგანიზაციები: კარიტას საქართველო, ვორლდ ვიჟენი, ბავშვი და გარემო.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის შემუშავდა მობილური ჯგუფების, დღის/კრიზისული ინტერვენციისა და ტრანზიტული სერვისების კონცეფცია.

მობილურ ჯგუფებში შედიან: სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგი, თანატოლ-განმანათლებელი და ადამინისტრაციული მუშაკი/მძღოლი. ჯგუფი პირველ კონტაქტს ბავშვებთან ქუჩაში ამყარებს, უზრუნველყოფს მათ გადაუდებელ საჭიროებებს და მუშაობს მათი დღის/კრიზისული იენტერვენციის ცენტრებში მიმართვის მიზნით. **დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრები** ღია ტიპის მომსახურეაა, რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს ძირითადი მოთხოვნების (საკვებზე, ჰიგიენაზე და სხვ.) დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს და სთავაზობს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების შემუშავებისა და არაფორმალური განათლების პროგრამას, რომლის მიზანია ბავშვების რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია; საცხოვრებლის გარეშე დარჩენილ ბავშვებს ცენტრი ასევე სთავაზობს ღამის თავშესაფარს. **ტრანზიტული ცენტრი** წარმოადგენს 24-საათიან მომსახურებას, (მაქსიმუმ, ერთი წლის განმავლობაში), რომელიც ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომას, შესაძლებლობების ინტენსიურ განვითარებას და მათ უფრო ხანგრძლივი დროით მინდობით აღზრდაში ან მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისთვის ამზადებს. გარკვეულ შემთხვევაში, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახს შეუძლია ბავშვი უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოს, ხდება რეინტეგრაციის პროცესის აქტიური ხელშეწყობა.

აღნიშნული სერვისების კონცეფციის გადასინჯვა და შესწორება მუშაობის შედეგად მიღებული პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ხდება.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა შემდეგი მომსახურებები: 2013 წლის აგვისტოდან თბილისში ფუნქციონირებს 3 მობილური ჯგუფი; 2015 წლის აპრილიდან ქუთაისში ამოქმედდა ერთი მობილური ჯგუფი; 2014 წლიდან, თბილისში, 3 დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრი მოქმედებს, რასაც წელს კიდევ ორი დაემატა – თბილისსა და ქუთაისში; ტრანზიტული ცენტრი ფუნქციონირებს თბილისსა და რუსთავში. აღნიშნული მომსახურებებისთვის შემუშავდა მოსამზადებელი პროგრამა და კურიკულუმი, მომზადდნენ სპეციალისტები: 15 მობილური ჯგუფის წევრი, დღის/კრიზისული და ტრანზიტული ინტერვენციის ცენტრების ადმინისტრაციული მუშაკები და აღმზრდელები – დაახლოებით 150 პირი; 200 პოლიციელი – თბილისში და 50 – ქუთაისში.

დაარსდა ჯანდაცვისა და სოციალური ფონდი, რომელიც დაფარავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯანმრთელობისა და სოციალური საჭიროებების ხარჯებს. ამის გარდა, ფონდმა შეიძლება ერთჯერადი დახმარება გაუწიოს ქუჩაში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში. ფონდის მომსახურებით უკვე 110-მა ბავშვმა და, შესაბამისად, მათმა ოჯახებმა ისარგებლეს.

2014 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს იურიდიულ ხარვეზებს, რაც ზღუდავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებებს, ისარგებლონ სხვადასხვა მომსახურებით – განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის. სამუშაო ჯგუფმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს და იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქტიური მონაწილეობით შეიმუშავა რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს დროებითი პირადობის მოწმობების გაცემას აღნიშნული ბავშვებისთვის, რომ მათ შეძლონ ჯანმრთელობის, განათლებისა და სოციალური დაცვის სხვა მომსახურებებით სარგებლობა. რეკომენდაციები პარლამენტს 2015 წლის ბოლომდე წარედგინება.

დღეისთვის პროგრამა უკვე დაეხმარა 400-ზე მეტ ბავშვსა და მათ ოჯახებს თბილისსა და ქუთაისში. მათგან 158 ბავშვი დღის/კრიზისულ და ტრანზიტულ მომსახურებაშია ჩარიცხული; გადაუდებელ მინდობით აღზრდაში 10 ბავშვი განთავსდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლში კი – 6; დოკუმენტაცია მოუწესრიგდა 40 ბავშვს, 26-ის სკოლაში ინტეგრირება განხორციელდა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამაში 36 ოჯახი ჩაერთო, სხვა ქვეპროგრამებში კი 34 ბავშვი გადამისამართდა. 110-მა ბაშვმა ჯანდაცვისა და სოციალური ფონდის დახმარება მიიღო – ასეთია სურათი, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად მივიღეთ. თუმცა, თითოეული მომსახურების უკან, როგორც უკვე ვთქვით, ძალიან დიდი შრომა და ძალისხმევაა ჩადებული მობილური ჯგუფებისა თუ სოციალური მუშაკების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში შედეგიანი, მაგრამ ხშირად უშედეგოც. ორწლიანი მუშაობის შედეგების გაცნობა ყველაზე საინტერესო სწორედ იმ ნაწილში იყო, რომელიც პრაქტიკული შემთხვევების ანალიზს დაეთმო. „მომსახურებები ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის“ თავისი წარმატებებითა და პრობლემებით – ეს თემა **შოთა ზურაბიშვილმა** მობილური ჯგუფის წევრმა, და სოცმუშაკებმა: **ანა ჯველაურმა** და **ნინო დანელიამ** საკუთარი ბენეფიციარების ქეისების განხილვით წარმოადგინეს.

მათ მიერ განხილული სამი შემთხვევიდან ერთი უშედეგოდ, უფრო სწორად, მძიმე შედეგით დასრულდა. გოგონა, რომელიც მომსახურების პროგრამაში ჩაერთო ორ თვეში 18 წლის ხდებოდა. ძალიან დიდი ძალისხმევის და მუშაობის მიუხედავად, არაფერი გამოვიდა, რადგან ის რამდენიმეჯერ გაქცევის მცდელობის შემდეგ სამართალდამცველთა ხელში აღმოჩნდა. მეტად გაუმართლა 8 წლის გიორგის, რომელიც აცხადებს – „მე აღარ ვითხოვ მოწყალებას ქუჩაში“, რადგან ის მინდობით აღზრდაში იმყოფება ქალაქ ბოლნისში და, თანატოლების მსგავსად, სკოლაში სწავლობს და ოჯახურ გარემოში ცხოვრობს. მეტიც, თავს იმდენად კარგად გრძნობს მინდობით ოჯახში, რომ სურვილი გამოთქვა, ბიოლოგიურმა დედამაც მათთან იცხოვროს, მინდობითი ოჯახი დათანხმდა. მესამე შემთხვევა 13 წლის გოგონას ცხოვრებას გვაცნობს, რომელიც ქუჩას გამოსტაცეს და ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნეს. თუმცა, მას პრობლემები სკოლაში მისვლის გამო შეექმნა, რადგან არც ერთ სკოლას არ სურდა მისი მიღება. საბოლოოდ 72-ე სკოლამ მიიღო. და მაინც, რა პრობლემები და გამოწვევები დგას ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან მუშაობის პროცესში?

პრობლემები მეორდება: პირველ რიგში, მათი ნდობის მოპოვებაა რთული, შემდეგ ყველაზე თვალში საცემი მათი ასოციალური ქცევაა, რაც ძირითადად, ყველას ახასიათებს; ინტელექტალური ჩამორჩენა – რადგან ისინი სკოლას მოწყვეტილები არიან, უჭირთ ურთიერთობა, არ იციან დროის სწორად მართვა, არ აქვთ ჩამოყალიბებული უნარები, რომელიც მიზნის მიღწევაში დაეხმარებათ, ახასიათებთ არასტაბილურობა და ა.შ. გარდა მათი პიროვნული პრობლემებისა, სოციალურ მუშაკებსა და მობილურ ჯგუფებს უწევთ, ასევე, მათგან დამოუკიდებელი საკითხების მოგვარება სხვადასხვა უწყებებთან. ერთ-ერთი მაგალითი გახლდათ სკოლაში ბენეფიციარის მიყვანა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არც ერთ სკოლას არ სურდა. კითხვაზე – კონკრეტული შემთხვევის დროს ეცნობა თუ არა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს? – შოთა ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ სამინისტროსთვის არ მიუმართავთ, რადგანაც, საბოლოოდ, აღმოაჩინეს სკოლა, რომელიც 13 წლის გოგონას მიიღებდა. გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური კეთილდღეობის პროგრამის ხელმძღვანელი **ქეთი მელიქაძის** განცხადებით, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების პრობლემებს *„ჯერ მხოლოდ შევეხეთ, გავმართეთ მექანიზმი და ახლა საჭიროა მისი ამუშავება“*. გამოწვევები და პრობლემები კი, როგორც ჩანს უხილავის მიღმაც უხვადაა. თუმცა, რასაკვირველია, პროგრამის ამუშავების შემდეგ, გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა ყველაზე დაუცველ ბავშვებს, მანამდე კი, როგორც ქალბატონი ქეთი ამბობს: *„ბავშვთა დაცვის რეფორმის ფოკუსში, ძირითადად, ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც დიდი ზომის ბავშვთა სახლებში ცხოვრობდნენ. პრობლემა, თავისთავად, ძალიან რთული და მძიმეა – ბავშვები ქუჩაში ცუდმა ცხოვრებამ გამოიყვანა და მოწყალებას, რასაკვირველია, იმის გამო ითხოვენ, რომ მათ ოჯახებს ძალიან უჭირთ, ვერ უზრუნველყოფენ მათ ნორმალურ ცხოვრებას ან ოჯახში ძალადობაა და ა.შ.*

მომსახურებები, რომელიც პროგრამის ფარგლებში შეიქმნა, მიზნად ისახავს ქუჩაში მოხვედრილი ბავშვების ქუჩიდან ნელ-ნელა გამოყვანას. ეს, ბუნებრივია, მარტივად და იოლად ვერ მოხდება, რადგან, როგორც გითხარით, ისინი ბევრმა ფაქტორმა აიძულა მოწყალება ითხოვონ. თუცმა, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, პირველ რიგში, შეიქმნა სისტემა, რომელმაც შეძლო დაინახოს ასეთი ბავშვები, გამოავლინოს მათი საჭიროებები და შესთავაზოს მომსახურებები, რაც მთავარია, ჩვენ დაგვანახოს გზა, როგორ გამოვიყვანოთ ქუჩიდან, დავაბრუნოთ ბიოლოგიურ ოჯახში ან გადავიყვანოთ მინდობით ოჯახებში – ყველამ ვიცით, რომ ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდა საუკეთესოა მისი მომავლისთვის, გარდა ამისა, ქვეყანას აქვს ვალდებულება, დაიცვას მისი უფლებები.“

ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს შორის ყველაზე მეტი ბოშაა. მართალია, ამის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, შეიძლება ითქვას, არ არსებობს, მაგრამ ეს, უბრალოდ, თვალშისაცემია. როგორ მუშაობს პროგრამა ყველაზე მოწყვლად ჯგუფთან? *„ყველა ბავშვი თანაბარია და ასე ვერ გამოვყოფ ცალკე ბოშა ბავშვებს,“* – ამბობს ქეთი მელიქაძე, თუმცა აღნიშნავს, რომ: *„საქართველოში ბოშა ბავშვები ერთ-ერთი იზოლირებული და გამიჯნული თემაა. მათი მომთაბარე ცხოვრება, გარკვეული პასუხია იმ პირობებზე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. რა თქმა უნდა, ამ საკითხზე მეტი დაფიქრება გვმართებს, თუმცა, პროგრამა ისეა შედგენილი, რომ თითოეული ბავშვის საჭიროებებს ითვალისწინებს – კულტურულ მიკუთვნებას, უკიდურეს სიღარიბეს თუ ძალადობრივ პრობლემებს, ანუ ვცდილობთ, ბავშვს ინდივიდუალურად მოვარგოთ საჭიროებები, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია. მაგრამ გეტყვით, რომ ეს მომსახურებები საკმარისი არ არის, კიდევ მეტი და მრავალფეროვანი გვინდა რომ იყოს. ბოშა ბავშვები კი სწორედ იმ მრავალფეროვნების ნაწილია, რომელიც შემდეგ ინდივიდუალური მიდგომით თითოეულის პრობლემას აგვარებს.“*

ჩვენ ვსაუბრობთ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებზე, თუმცა, არ ვიცით მათი რაოდენობა. სტატისტიკის არარსებობა იმით აიხსნება, რომ მსგავსი კვლევა ფინანსებს უკავშირდება. *„ჩვენ გვაქვს 2008 წლის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ოთხ დიდ ქალაქში, დაახლოებით, 1050 ბავშვია ქუჩაში. იმ რესურსების გათვალისწინებით, რომელიც პროგრამის ფარგლებში გვქონდა, უნდა აგვერჩია, რაში დაგვეხარჯა ფული – ბავშვების ზუსტი რაოდენობის დადგენაში თუ მომსახურებებისთვის – მათთვის სერვისების შეთავაზებაში. სტატისტიკური კვლევა ძალიან ძვირადღირებული პროცესია. ობიექტურად ძვირადღირებულია. მოგეხსენებათ, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები ძალიან მობილური ჯგუფია და ხშირად გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე – ქალაქიდან ქალაქშიც კი. ამიტომ მათი რიცხვის დასადგენად, ერთდროულად, ბევრი მობილური ჯგუფი უნდა გავიდეს და აღწერონ ისინი. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ – გადავწყვიტეთ, ისინი მობილურმა სამსახურებმა გამოავლინონ და რეალურად დროში განწილილი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ზუსტი სტატისტიკა გვექნება. მობილურმა ჯგუფებმა, დღეის მონაცემებით, ჯერ 600-მდე ბავშვი მოიცვეს, მაგრამ, მთავარია, ვიცით პრობლემების ტიპები და საჭიროებები, ვიცით რისი გაკეთება შეგვიძლია და რისი არა.“*

მართლაც მნიშვნელოვანია, რომ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო, მაგრამ ოჯახების გასაძლიერებლად ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. *„მნიშვნელოვანია, რომ განხორციელებულ პროექტს სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს. შესაბამისად, ბავშვები, რომლებსაც უკვე მოვემსახურეთ, სერვისებით სარგებლობას გააგრძელებენ.“* – აღნიშნავს საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილე, **დიანა დურიჩი**.

გაუწოდეთ ბავშვს ხელი და არა ფული – ეს ფრაზა შეხვედრის მთავარ გზავნილად იქცა. **თუ ხედავთ, რომ ბავშვი ქუჩაში უმეთვალყურეოდ არის, მათხოვრობს და ვაჭრობს მარტო, ან ზრდასრულ პირთან, დღისით ან ღამით სძინავს ქუჩაში, არის სასკოლო ასაკის, მაგრამ მას ხშირად ხვდებით ქუჩაში დღის განმავლობაში, დარეკეთ და შეატყობინეთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცხელ ხაზზე – 15-05.** ეს მოწოდება სპეციალურად დამზადებული საინფორმაციო ფლაერით გაავრცელეს პროგრამის ორგანიზატორებმა, რათა ერთად ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე, რომ მათთვის სპეციალურად შექმნილი რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

პროექტის შემდეგი ნაბიჯები, ქვეყნის მასშტაბით, ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების გაძლიერებას ითვალისწინებს. *„მნიშვნელოვანია, სახელმწიფოში შეიქმნას ძლიერი სოციალური და ბავშვის ძალადობისაგან დაცვის მექანიზმები, რომლებიც ბავშვის ქუჩაში გასვლის პრევენციას მოახდენს.“* – აცხადებს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში. ამასთან ერთად კი, ძალიან მნიშვნელოვანია შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება და სოციალური ნორმები ყველაზე დაუცველი ბავშვების მიმართ, რათა საქართველოში ყველა ბავშვის უფლება იყოს დაცული – მიუხედავად განსხვავებული ცხოვრების პირობებისა, ქუჩაში თუ მდიდრულ სახლში, ყველა ბავშვს ხომ თანაბარი უფლებები აქვს.

ინკლუზიური განათლება

სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ზოგიერთი ასპექტები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება, როგორც პრიორიტეტი, 2004 წლიდან იქნა აღიარებული, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს. ამიტომ საჭირო და აუცილებელია, ასეთ მოსწავლეებს ნებისმიერ საჯარო სკოლაში ექნეთ თვითრეალიზაციის და წარმატების ისეთივე პირობები, როგორც სხვა მოსწავლეებს.

უკვე ერთი წელია, აღნიშნული მიმართულებით მუშაობს სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლა.

სკოლაში სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ სპეციალური მასწავლებლის შესარჩევი კონკურსის ჩატარების შემდეგ (საკონკურსო კომისიაში შედიოდნენ სკოლის პედაგოგები და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდის წევრი, პროფესორი **ნატო ქობულაძე**. კომისიამ კონკურსში მონაწილე ოთხი კანდიდატიდან შეარჩია ერთი პედაგოგი. ამჟამად სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი) სსსმ მოსწავლისათვის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შედგა. მასწავლებელი მუშაობს იმ მიმარულებით, რომ სსსმ მოსწავლეთა მიერ შეძენილი უნარებით ცხოვრებისეული და ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა გახდეს შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ სკოლამ მოაწყო რესურსოთახი, გააფორმა იგი სხვადასხვა სასწავლო თვალსაჩინოებით, სკოლაში ეწყობა სსსმ მოსწავლის სხვადასხვა ხასიათის ნამუშევრების გამოფენები, სსსმ მოსწავლე, კლასთან ერთად, აქტიურად ერთვება თითქმის ყველა ღონისძიებაში, შეიკრიბა ინკლუზიური განათლების საკითხებზე სასწავლო და სათვალსაჩინო რესურსები, ასევე ფუნქციონირებს ინტერნეტ ბიბლიოთეკა, ტარდება ღია გაკვეთილები, რომელშიც თანატოლებთან ერთად ჩართულია სსსმ მოსწავლეც, ამჟამად იგი ემზადება კლასის გამოსაშვებ ღონისძიებაში და რეგიონალურ გამოფენაში მონაწილეობისათვის, რომელიც მაისში №8 საჯარო სკოლის ხელმძღვანელობით მოეწყობა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქში არსებული დღის ცენტრისა და რეგიონის ზოგიერთი სკოლის სსსმ მოსწავლეები.

სკოლის დირექცია და სპეციალური მასწავლებელი ყოველდღიურად ცდილობენ, რომ სსსმ მოსწავლეს შეუქმნან მისთვის სასურველი გარემო, შეუქმნან ისეთი პირობები, რომ მოსწავლეს უხაროდეს ყოველი ახალი სასწავლო დღე, შეხვედრა თანატოლებთან, პედაგოგებთან, დირექციასთან. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩვენს სკოლაში მიზანი მიღწეულია, რადგან სსსმ მოსწავლეს ნამდვილად უყვარს და ენდობა სკოლის დირექტორს, მანდატურებს, კლასის დამრიგებელს, სპეციალურ მასწავლებელს, რომელიც ყოველდღიურად მუშაობს არა მარტო მასთან, არამედ საგნის მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან და სკოლის ისგ ჯგუფთან.

სსსმ მოსწავლესთან კეთილმეგობრული ურთიერთობა სპეციალურ მასწავლებელს ძირითადი მიზნის მიღწევის საშუალებას აძლევს. მხოლოდ ამ პოზიციიდან ახერხებენ საგნის მასწავლებლებიც გამართული საგაკვეთილო პროცესის შენარჩუნებას, ამ პოზიციიდან მიეთითება მოსწავლეს არასასურველი ქცევის გამო და იმაზეც, თუ რით ჩაანაცვლოს არასასურველი ქცევა. აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები უპირველესად ხაზგასმას მხოლოდ პოზიტიურზე და მოსწავლეთა სათანადოდ წახალისებაზე აკეთებენ, რითაც ვახერხებთ, რომ მაქსიმალურად ვაგრძნობინოთ ბავშვს სითბო და კეთილგანწყობა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის დროს მხედველობიდან არ გვრჩება მშობელი და ის პრიორიტეტები, რომელსაც მშობელი მიიჩნევს საჭიროდ.

სსსმ მოსწავლის მშობლებთან, თითქმის ყოველ კვირას, გვაქვს შეხვედრა, ვსაუბრობთ ბავშვთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ისინი კმაყოფილებას გამოთქვამენ დირექტორის, სპეციალური მასწავლებლის, პედაგოგებისა და მოსწავლეების მიმართ, რომლებიც ყურადღებასა და სითბოს გამოხატავენ მათი შვილისადმი. სსსმ მოსწავლის მშობლები გრძნობენ, რომ სკოლა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მათმა შვილებმა შეძლონ იცხოვრონ უსაფრთხო ცხოვრების წესით, არ გაუჭირდეთ ურთიერთობები, შეძლონ პირადი ჰიგიენის დაცვა და ცხოვრებისეულ აქტივობებში მონაწილეობა.

მზია ზარნაძე
სსიპ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის პედაგოგი

ჩემი კუთხე

ვიცოდეთ მშობლიური სოფლის ისტორია

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ჩვენი ქვეყნის ისტორიის საფუძვლიან შესწავლას, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული მეზობელი ქვეყნებისა და მსოფლიოს ისტორიასთან. სამშობლო, მშობლიური კუთხე, სოფელი, მშობლები იდენტური ცნებებია, ამიტომ მიზანშეწონილია, მოსწავლემ იცოდეს თავისი სოფლის, გვარის და მშობლების წარმომავლობისა თუ დამსახურების შესახებ.

ზემო იმერეთი საქართველოს მთაგორიანი მხარეა. მოსახლეობა, ძირითადად, ხეობაში და ხევებში ცხოვრობს. მწირი ნიადაგის გამო ოჯახის შემოსავალი ყოველთვის მცირე იყო, განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ბევრმა სოფლელმა ოჯახისთვის საარსებო წყაროს ძიების მიზნით დატოვა სოფელი და ქალაქში, მეზობელ ან შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა. მე, როგორც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლეღვანის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი, საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიური მონაწილე, ყოველთვის ვცდილობდი, გაკვეთილზე ჩვენი ქვეყნის ისტორიის საკითხები დამეკავშირებინა ლეღვანის ისტორიულ წარსულთან და არსებულ პრობლემებთან. ერთ-ორ გაკვეთილს ვუთმობდი და ვუთმობ მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტების, მშრომელი და მებრძოლი ადამიანების თავდადების, კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში მიღწევების გაცნობას. მინდა გავიხსენო საზოგადოებისთვის უცნობი, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი ლეღვანის ისტორიიდან.

XX საუკუნის შუა წლებში, ე.წ. ვეფხვაძეების გორაზე, ნოდარ ვეფხვაძის ოჯახმა ბრინჯაოს პერიოდის ნაკეთობანი აღმოაჩინა. სპეციალურად მოვინახულე ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე **ფრიდონ ნოდარის ძე ვეფხვაძე**, რომელმაც მიამბო: *„60-იანი წლების ბოლოს, სამეურნეო საქმიანობის დროს, ვიპოვეთ რამდენიმე ცალი ლითონის მცირე მოცულობის ნაკეთობა. 1973 წელს მე და ჩემი ძმა ქლიავის ნერგს ვრგავდით, მამამ არ მოგვიწონა ამოთხრილი ორმოს სიღრმე და გვითხრა, მოუმატეთო. გაღრმავებისას კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე ლითონის ნაკეთობა, მივუმატეთ ძველს და შევინახეთ.“* ფრიდონი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. აღმოჩენილი ნაკეთობა ნახა ნოდარის ძმამ – რობერტმა, რომელიც ხარაგაულში ცხოვრობდა და ხარაგაულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელობას აცნობა.

ოჯახისა და მუზეუმის ხელმძღვანელობის შეთანხმების საფუძველზე, ნაკეთობანი გადატანილ იქნა მუზეუმში. აკადემიკოსმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა, სათანადო სამეცნიერო შესწავლის შემდეგ, განძი ძვ. წ. II-I სს მიჯნით დაათარიღა. ეს არის პერიოდი, როცა ჩვენი წინაპრები გორა ადგილებზე ცხოვრობდნენ. ნაკეთობებს ეწოდა „ლეღვანის განძი“, ხოლო მაღალ სერს – „ვეფხვაძეების გორა“, რადგანაც აქ, ძირითადად, ვეფხვაძეები ცხოვრობენ.

1926-1933 წლებში „დევის ხვრელის“ შესწავლა-გამოკვლევას აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოში არქეოლოგიის ფუძემდებელი, პროფესორი გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძე, რომლის და, ფეოდოსია, ცოლად ჰყავდა ლეღვანელ მღვდელს, მოსე გრიგორის ძე ვეფხვაძეს. იგი დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ვერტყვიჭალის და ხუნევის მრევლს. ამასთანავე, იყო ლეღვანში ბევრი რელიგიური და საზოგადოებრივი საქმის მონაწილე. მასთან ხშირად მიდიოდა გიორგი ნიორაძე და მსჯელობდნენ ლეღვანის წარსულის საკითხებზე. მოსეს ჰყავდა უფროსი ქალიშვილი ეკატერინე და მომდევნო 5 ვაჟი. ეკატერინე ჯერ ხუნევში იყო დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, შემდეგ, 1914-1921 წლებში, ლეღვანის დაწყებითი სკოლის ჯერ მასწავლებელი, შემდეგ – გამგე. ეკატერინემ, სასკოლო საქმის შესანიშნავი წარმართვით, საფუძველი შექმნა „ლეღვან-მარელისის შვიდწლედის“ გახსნისთვის. ეკატერინე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობაში.

მიუხედავად ომისა და რევოლუციებით გამოწვეული რთული სოციალური და ეკონომიკური პირობებისა, ლეღვანის ისტორიაში მან პირველმა შეაგროვა წიგნები და სკოლასთან გახსნა ბიბლიოთეკა, მოსახლეობა დააინტერესა წიგნის კითხვით. მანვე ჩამოაყალიბა დასი და გამართა წარმოდგენები დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით შექმნილი „ტარიელ მკლავაძე“. როლებს ასრულებდნენ: ეკატერინე, მისი ძმები, ახლო მეგობრები, ნუნუ კვირიკაძე (შემდგომში გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე). ხალხმა შეიყვარა სცენა, ინტერესით ესწრებოდნენ დადგმებს, ისმენდნენ ომისა და რევოლუციის მონაწილეთა გამოსვლებს. ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ეკატერინე ვეფხვაძე ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ლეღვანის ისტორია დაკავშირებულია აღმოსავლეთ აზიის და ევროპის დამაკავშირებელ „აბრეშუმის გზასთან“. ძირულიდან გზა ჩხერიმელას ხეობის გავლით ლიხის ქედზე გადადიოდა და დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს აერთებდა. ეს გზა კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეების მეფე-მთავრებისთვის, რომლებიც მესხეთ-ჯავახეთის მიმართულებით მიდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი შესახვევი მიუყვებოდა ჩხერიმელას მარცხენა შენაკადს, მდინარე ლეღვნულას ხეობას ურთხველაკამდე, აქედან კი – კოიტას სერის დასავლეთ კლდოვან გორებს – სახულარამდე, შემდეგ იშკარასა და ნაქალაქარზე გავლით ბორჯომისა და ახალციხისკენ. ამ გზას მესხეთ-ჯავახეთში სწრაფად გადასვლისთვის იყენებდნენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები.

ლეღვნელი რევოლუციონერები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლეღვნელი იაკინთე (ივანე) მაღრაძე იყო ბელაგორის (ხარაგაული) სამხედრო რევოლუციური შტაბის ხელმძღვანელი. 1905 წლის აგვისტოში ჟანდარმებმა ვერაგულად მოკლეს მარელისის სადგურთან. მისი დასაფლავება უდიდეს საპროტესტო დემონსტრაციად გადაიქცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ათასობით რევოლუციონერი ჩამოვიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის იოსებ სტალინი და სერგო ორჯონიკიძე, რომელთაც ღამე გაათიეს ცნობილი რევოლუციონერის გრიშა მაღრაძის ძმასთან, ირაკლი მაღრაძესთან. საუბარი ჰქონიათ მოსახლეობის წარმომადგენლებთან და რევოლუციონერებთან.

გასული წლის ზაფხულში ხარაგაულს ეწვია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი **ალექსანდრე რუსეცკი**. იგი შეგვხვდა მუნიციპალიტეტის სკოლების ისტორიის პედაგოგებს, გვესაუბრა ისტორიის სწავლების საკითხებზე, დაინტერესდა პრობლემებით, ჩვენი მოსაზრებებით, კამათში ჩაერთო რამდენიმე ისტორიკოსი. მე აღვნიშნე, რომ აუცილებელია, ქვეყნის ადმინისტრაციულ მხარეებთან და კუთხეებთან ერთად, ვასწავლოთ მშობლიური სოფლის, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომავლობის, გვარების, მშობლების წარსულის და დამსახურების ისტორია.

ისტორიკოსმა **ზეინაბ ბუაჩიძემ**, რომელსაც ბევრი ნარკვევი აქვს შექმნილი და გამოქვეყნებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორიის შესახებ, გამოთქვა სურვილი, რომ შეიქმნას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ისტორია, რომელიც ყველა სოფლის ისტორიას გააერთიანებს. წინადადებას ყველა პედაგოგმა დაუჭირა მხარი. გადაწყდა, შეგვექმნა ისტორიკოსთა საზოგადოება „ლიო“.

რესურსცენტრის ხელმძღვანელმა **დავით კიკნაძემ** მოიწონა გადაწყვეტილება და დახმარება აღგვითქვა.

ვფიქრობ, რესპუბლიკის ყველა სკოლის ისტორიის სპეციალისტმა უნდა მოიძიოს მნიშვნელოვანი ცნობები მშობლიური დაბის, სოფლის, დასახლების შესახებ და დაუკავშიროს იგი ადმინისტრაციული ერთეულების და კუთხეების ისტორიას.



„დევის ხვრელი“

ჯემსი ვეფხვაძე
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ლეღვანის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

აქტივობა

სტუმრად თბილისის ბოტანიკურ ბაღში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურმა, სსიპ კინოცენტრ „აფხაზეთის“ შემოქმედ ბავშვთა კავშირმა „მომავლის ხმამ“ და მასთან დამეგობრებულმა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის წევრებმა, 1 მაისს, აფხაზეთიდან დევნილი მოსწავლე ახალგაზრდობისა და თბილისში კომპაქტურად ჩასახლებული მოზარდებისათვის, მოაწყვეს სასწავლო-საგანმანათლებლო შემეცნებითი ექსკურსია თბილისის ბოტანიკურ ბაღში, მისი დაარსების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით.

ბოტანიკური ბაღის მეცნიერ თანამშრომელი **ნინო გოცაძე** პროექტის მონაწილეებს საინტერესოდ ესაუბრა ბოტანიკური ბაღის ისტორიაზე და ბაღში დაცულ უნიკალურ ფლორასა და ფაუნაზე.

ბენეფიციარებმა დაათვალიერეს ბაღის ტერიტორია, საექსპოზიციო დარბაზში გამოფენილი, 80-ზე მეტი დასახელების, კავკასიაში გავრცელებულ ყვავილოვან სამკურნალო მცენარეთა სახეობები, გაიცნეს მათი სამკურნალო თვისებები, შეაგროვეს სხვადასხვა ხე-მცენარის ფოთოლთა ნიმუშები სასკოლო ჰერბარიუმებისათვის, შეასრულეს ესკიზური ხასიათის ჩანახატები.

ექსპრომტად მოეწყო ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით სოხუმისა და თბილისის ბოტანიკურ ბაღებში დაცული ერთგვაროვანი მსოფლიო მნიშვნელობის მცენარეთა ჯიშების შესახებ“.

„სთქვი არჯაკელო ხვიარავ“ – მოზარდებმა წაიკითხეს თავიანთი საყვარელი პოეტების ლექსები ვარდზე, იაზე, ზამბახზე, იასამანზე, ენძელაზე.

ვიქტორინაში გამარჯვებული მოზარდები დაჯილდოვდნენ ბუნების წიაღში დამზადებული, მინდვრის ყვავილებით გაფორმებული სიმბოლური დიპლომებით.

ღონისძიების მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს თბილისის ბოტანიკური ბაღის მესვეურებს გულითადი მასპინძლობისთვის და კიდევ ერთხელ მიულოცეს 175 წლის იუბილე. ალურჯზონრიან ალბომში სიყვარულით ჩაწერეს თავიანთი შთაბეჭდილებები და მზის სხივებით ათასფრად გაცისკროვნებულ ჩანჩქერთან გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

ნონა ბერაია

შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ ხელმძღვანელი

ინფორმაცია

ევროპის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეები დაჯილდოვდნენ

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ევროპის კვირეულის ფარგლებში, ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, აგრეთვე, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიების ფარგლებში, ოთხი სოციალური ვიდეორგოლის პრეზენტაცია გაიმართა. ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, გარემოს დაცვისა და განათლების თემებზე ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე მომზადებული ვიდეორგოლები მიზნად ისახავს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას საზოგადოებაში.

ამავე ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა ახალგაზრდული ფოტოკონკურსის „ჩემი ევროპა“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია. საქართველოს ევროპული მომავლის თემაზე გამართულ ფოტოკონკურსში IX-XII კლასელები მონაწილეობდნენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ჟიურის მიერ შერჩეული 16 საუკეთესო ფოტო, რომელთა ავტორებს პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით უსუფაშვილმა** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **თამარ სანიკიძემ** სიგელები და წარმოდგენილი ფოტოებისგან შექმნილი ფოტოალბომები გადასცეს საჩუქრად, ხოლო სოციალური ქსელის – „ფეისბუქის“ ფავორიტი ფოტოს ავტორი, ასევე, პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელები, სიგელებთან ერთად, წიგნების მაღაზიის სასაჩუქრე ვაუჩერით, ტაბლეტებით და ფოტოაპარატით დასაჩუქრდნენ.

ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოს პარლამენტის ორგანიზებით და ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გაიმართა.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„დღევანდელი ღონისძიების მიზანია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებაში და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლება. ჩვენ გავაგრძელებთ სხვა სტრუქტურებთან მუშაობას (პარლამენტი თუ დონორი ორგანიზაციები და სხვ.) იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავააქტიუროთ ეს პროცესი და საზოგადოებას დავანახოთ ყველა ის სიკეთე, რაც შეიძლება მოგვიტანოს ევროპასთან და ევროპულ ოჯახში გაწევრიანებამ.“*

საუნივერსიტეტო კლინიკა მთელი დატვირთვით მუშაობს

2015 წლის მარტში საქართველოში პირველი მრავალპროფილიანი, მაღალი პროფესიონალებით დაკომპლექტებული საუნივერსიტეტო კლინიკა ამოქმედდა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს იძენენ, ხოლო აკადემიურ პერსონალს თანამედროვე კვლევების ჩატარების უნიკალური შესაძლებლობა აქვს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კლინიკას ესტუმრა და პირადად გაეცნო მის ფუნქციონირებას, შეხვდა სტუდენტებს და პაციენტებს გაესაუბრა. მინისტრმა კლინიკაში დაბადებული პირველი ახალშობილიც მოინახულა.

185 საწოლზე გათვლილი საუნივერსიტეტო კლინიკის გამართვა და თანამედროვე ლაბორატორიებით, რადიოლოგიური დიაგნოსტიკისა და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევებისათვის საჭირო აპარატურით აღჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა. კლინიკა უკვე მთელი დატვირთვით მუშაობს, იღებს პაციენტებს, რეგულარულად ტარდება სხვადასხვა სახის ოპერაციები, რომელშიც პროფესორებთან ერთად უშუალოდ არიან ჩართული სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები.

კლინიკამ უკვე 417 სტაციონარული და 761 ამბულატორიული პაციენტი მიიღო, გაკეთდა გეგმიური და გადაუდებელი ოპერაციები. აქ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ აუდიტორიებში, მიმდინარეობს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტებთან. მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სპეციალურად დამონტაჟებულ ეკრანზე, ონლაინ რეჟიმში ადევნონ თვალი ქირურგიული ოპერაციების თუ სხვა მანიპულაციების მიმდინარეობას და პროფესორთან ერთად განიხილონ კონკრეტული სამედიცინო საკითხი აკადემიურ თუ პრაქტიკულ საექიმო კონტექსტში – განაცხადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**.

საუნივერსიტეტო კლინიკაში მზადებას გადის და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეუფლება 6000-ზე მეტი ქართველი და 2000-მდე უცხოელი სტუდენტი. ამასთანავე, საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც 600 თანამშრომელია დასაქმებული, მაღალი დონის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფს არა მარტო თბილისის, არამედ მთლიანად საქართველოს მოსახლეობას.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა საქართველოში უკვე მთელი დატვირთვით მუშაობს. ეს გრანდიოზული პროგრამა და წარმატებით განხორციელებული პროექტია, ამის ირგვლივ კითხვის ნიშნები ნამდვილად აღარ ისმება. სამინისტროსა და სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის საწყის ეტაპზე არავითარი ხარვეზები არ გამოვლენილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მასშტაბური პროგრამა ძალიან კარგად იყო დაგეგმილი. მისი მიზანია აღვზარდოთ კვალიფიციურ ექიმთა თაობა.*

ვულოცავ სამედიცინო უნივერსიტეტს და ყველა მხარეს, ვინც ჩართული იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.“

ზურაბ ვადაჭკორია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი: *„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახლად გახსნილი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა უკვე სრული დატვირთვით მუშაობს და ყველა სამედიცინო სერვისი მიეწოდება ჩვენს მოსახლეობას. გარდა ამისა, აქ 15-ზე მეტი სასწავლო დეპარტამენტია. სტუდენტები თავს ნამდვილად ბედნიერად გრძნობენ ისევე, როგორც ჩვენი პროფესორები და ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან მალე აისახება ხარისხზე.“*

სასკოლო აქტივობა

რომ არ დავკარგოთ წინაპართა ხსოვნა

კერძო საშუალო სკოლა „პელაგონი“ (დირექტორი – **რუსუდან ურიდია**), მოსწავლეთა შემოქმედებითი და ინტელექტუალური დონის ასამაღლებლად, არა ერთ საინტერესო ღონისძიებას ატარებს. მათ შორისაა საქველმოქმედო აქციები, სამეცნიერო კონფერენციები, შეხვედრები სახელოვან ადამიანებთან. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვან.

საქართველოში, შეიძლება ითქვას, ქველმოქმედება სასიამოვნო ტრადიციაა. მას ჩვენი ისტორიის ათასწლეულებში აქვს ფესვები გადგმული. მრავლად გვყოლია მეცენატი, ტაძრის ამგები თუ ახალგაზრდებისათვის სწავლაში ხელშემწყობი, უპოვართა დამხმარე

და გაჭირვებაში თანამდგომი. დღევანდელი სოციალური ფონიდან გამომდინარე, ქველმოქმედება საშური საქმეა. სკოლა „პელაგონის“ მოსწავლეთა ინიციატივით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, მოეწყო აქცია სახელწოდებით – „მცირედიც შეიწირების“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდული სამოქალაქო კლუბის „ნათელი სხივი“ წევრები: **გიორგი გოგია** (ლიდერი), **გიორგი ალანია**, დები **თიკა** და **თაკო სართანიები**, **მიშა ნაჭყებია**, **მაგდა კლიმენკო**, **ნიკუშა ბარამია** და სხვები.

აქციის ფარგლებში მოსწავლეებმა სენაკში მცხოვრებ უკიდურესად შეჭირვებულ ოჯახებს – ლუარა კანკიას, მარინა ხურცილავას, ირმა რობაქიძეს, ლარისა ახვლედიანს, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ – შეუგროვეს და გადასცეს პროდუქტები და ტანსაცმელი. მათ მადლობა გადაუხადეს სკოლასა და მოსწავლეებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლა მუდმივად იჩენს კეთილ ნებას და სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლებს არ ახდევინებს სწავლის საფასურს, ამასთან, უფასოდ ასადილებს ბავშვებს. სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს, მოსწავლეებმა თავი მშობლიურ გარემოში იგრძნონ.

7 მაისს ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია თემაზე – პატივი მივაგოთ გმირებად ქცეულ თანამემამულეებს“. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ 9 მაისი ისტორიის ის ფურცელია, რომელიც დავიწყებას არასოდეს მიეცემა, ეს არის ხსოვნა, რომელიც არ იბინდება.

ფაშიზმი, როგორც კაცობრიობის საშინელი მოვლენა, არ უნდა განმეორდეს. ამიტომ არ უნდა დავკარგოთ წინაპრების ხსოვნა, როგორც თავდადების, ქედუხრელობის, სამშობლოს სიყვარულის უკვდავი მაგალითები. ჩვენი ვალია, სიამაყით მივიხედოთ წარსულისაკენ, გონება მივაწვდინოთ ჩვენს „ფესვებს“ და მადლიერებით შევაფასოთ ისინი, ვინც თაობათა ისტორიის მეხსიერებაში აღიბეჭდნენ.

თეორიული კონფერენციის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: **ნიკა ტყებუჩავა**, **ნია ბაღათურია**, **გიორგი ალანია**, **კობა ხუბუა**, **მარი გუნია**, **ქრისტინა კორშია** და სხვები.

8 მაისს ჩატარდა ინტელექტუალური შეჯიბრება „რა, სად, როდის“. V-VI კლასების (დამრიგებლები: **სოფო კოღუა**, **ლალი წახნაგია**) მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, გამოევლინათ საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები. პირველკლასელები ერთმანეთს ქუჩის ხატვაში შეეჯიბრნენ.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს, მეცნიერული საფუძვლების შესწავლას უნარ-ჩვევების დახვეწა შეუთავსონ.

გორის დავითაია
აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი

მშობელთა კრება

პოლინოზი – გაზაფხულის ალერგია

გაზაფხული, გარდა იმისა, რომ წელიწადის უმშვენიერესი დრო, საყურადღებოა ალერგიული დაავადებების, კერძოდ, პოლინოზის გამწვავების კუთხითაც. პოლინოზის შესახებ გვესაუბრება თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი ალერგოლოგი სოფო ყიფშიძე.

– რა არის პოლინოზი?

– პოლინოზი სეზონური ალერგიული დაავადებაა, რომელიც სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსის მწვავე ანთებით მიმდინარეობს. მას თივის ცხელებასაც უწოდებენ, თუმცა არა თივით, არამედ ყვავილის მტვრით არის გამოწვეული („პოლლენ“ მტვერს ნიშნავს).

– ვის ემუქრება პოლინოზი?

– რისკი ყველაზე მაღალია დიდი ქალაქების მცხოვრებთათვის. ისინი პოლინოზით თითქმის 10-ჯერ ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე სოფლად მცხოვრებნი. ბრონქებში გამონაბოლქვისა და მავნე აირების სისტემატური მოხვედრა აქვეითებს სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის დამცავ ფუნქციას და მტვრის ნაწილაკები მას გაცილებით ადვილად აზიანებს. პოლინოზს ალერგიული დაავადებების სტრუქტურის თითქმის 70% უკავია.

– რომელი მცენარეების მტვერი იწვევს პოლინოზს?

– განასხვავებენ ყვავილის ორი ტიპის მტვერს: ანემოფილურს, რომელიც ქარის მეშვეობით ვრცელდება და ენტომოფილურს, რომელიც მწერებს გადააქვთ. ანემოფილური მტვრის მარცვლები უფრო წვრილია, ენტომოფილურისა კი მსხვილი. ანემოფილური მტვერი უფრო შორ მანძილზე ვრცელდება. ამით აიხსნება შემთხვევები, როცა ადამიანს ჰიპერმგრძნობელობა აქვს იმ მცენარეთა ყვავილის მტვრის მიმართ, რომელიც მათი საცხოვრებლის უშუალო სიახლოვეს არ ხარობს. ენტომოფილურ მტვერს მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს კაშკაშა ფერის სურნელოვანყვავილებიანი მცენარეები. სიმცირის გამო ის ატმოსფეროში მინიმალური რაოდენობით ხვდება, ამიტომ ასეთი მტვრის მქონე მცენარეების მიმართ ალერგია შედარებით იშვიათია. ხეების ყვავილობა აპრილის დასაწყისში იწყება, ხოლო ჰაერში მათი მტვრის კონცენტრაცია პიკს მაისის შუა რიცხვებისთვის აღწევს. მათგან ალერგიულ რეაქციებს იწვევს უმთავრესად თხმელა, თხილი, არყის ხე, მუხა, კოპიტი. მაისის ბოლოდან ივლისის დამლევამდე ყვავის მარცვლეული ბალახები: შვრია, ტიმოთელა, თივაქასრა, რეიგრასი, ჭვავი, ხოლო ოქტობრამდე – სარეველები: ჭინჭარი, ამბროზია, ნაცარქათამა. პაციენტის ჩივილების მიხედვით შესაძლებელია პოლინოზის გამომწვევი ალერგენის დადგენა. პაციენტები უმეტესად ზუსტად მიუთითებენ პერიოდს, როცა ალერგია უმწვავდებათ და უცხრებათ. ამინდი გავლენას ახდენს ჰაერში ყვავილის მტვრის კონცენტრაციაზე. მშრალ, ცხელ, ქარიან დღეებში მტვერი უკეთ ვრცელდება, წვიმის დროს კი მიწაზე ილექება, რაც ამცირებს პოლინოზის გამწვავების რისკს. თავად მცენარეებიც დღის განმავლობაში სხვადასხვა ინტენსივობით გამოყოფენ მტვერს. ჰაერში მისი კონცენტრაცია დღის პირველ ნახევარში აღწევს პიკს, რაც უნდა გაითვალისწინოს ალერგიულმა ადამიანმა და ამ დროს გარეთ გასვლას ერიდოს.

– როგორია პოლინოზის სიმპტომები?

– პოლინოზი კლინიკურად კონიუნქტივიტის, რინიტისა და ასთმური სიმპტომების ერთობლიობით ვლინდება. პაციენტები უმეტესად უჩივიან თვალების, ცხვირის, სახის, ცხვირ-ხახის ქავილს, თვალების სიწითლეს, ქვიშის ჩაცვენის შეგრძნებას, ცრემლდენას, ქუთუთოების შეშუპებას. თვალიდან გამონადენი თავდაპირველად გამჭვირვალეა, შემდეგ შესაძლოა ჩირქოვანი გახდეს, მძიმე შემთხვევებში კი თვალის ლორწოვანზე წყლულებიც ჩნდება. დამახასიათებელია შეტევითი ცხვირცემინება (10-50-მდე), ცხვირიდან უხვი თხიერი გამონადენი (წყლიანი სურდო), რასაც მოჰყვება ცხვირის სრული დახშობა – „გაჭედვა“, თავის ტკივილი, საერთო სისუსტე და გაღიზიანება. პოლინოზი შესაძლოა გართულდეს ანოსმიით (ყნოსვის დაკარგვით), სინუსიტით (ცხვირის დანამატი წიაღების ანთებით), საფუძვლად დაედოს ისეთ ალერგიულ დაავადებებსაც, როგორებიცაა დერმატიტი, ჭინჭრის ციება, ფილტვის ეოზინოფილური ინფილტრაცია.

– როგორ სვამენ პოლინოზის დიაგნოზს?

– პოლინოზის დიაგნოსტიკისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ანამნეზის დაწვრილებით შეკრება. პირველი რიგის დიაგნოსტიკური მეთოდია კანის ალერგიული სინჯები მცენარეული მტვრის ალერგენებზე. კანის სინჯი უნდა გაკეთდეს მშვიდ პერიოდში, ალერგოლოგის მეთვალყურეობით. არსებობს ლაბორატორიული მეთოდიც – სპეციფიური IGE-ს განსაზღვრა სისხლის შრატში. ამ მეთოდს უმეტესად მაშინ იყენებენ, როდესაც კანის ალერგიული სინჯების ჩატარება შეუძლებელია.

– როგორ მკურნალობენ?

– მას შემდეგ, რაც დაავადების მიზეზი დაზუსტდება, სპეციალისტი პაციენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს მკურნალობის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც მოიცავს:

1. ელიმინაციურ ღონისძიებებს – ალერგენთან კონტაქტის შემცირებას ან შეწყვეტას;

2. ფარმაკოთერაპიას, რომლის მიზანია, მინიმუმამდე შევამციროთ სიმპტომები და ხელი შევუშალოთ დაავადების პროგრესირებას. უმეტესად გამოიყენება ბოლო თაობის ანტიჰისტამინური პრეპარატები, აგრეთვე – ადგილობრივი მოქმედების კორტიკოსტეროიდები საინჰალაციო ფორმით. მკურნალობა სასურველია დაიწყოს ყვავილობის დაწყებამდე ორი კვირით ადრე.

3. სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაცია – ეს მეთოდი უფრო რადიკალური და ეფექტურია, თუ, რა თქმა უნდა, რაიმე უკუჩვენება არ არსებობს. სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაციის პრინციპი გულისხმობს გამომწვევი ალერგენის მიმართ სპეციფიკური ტოლერანტობის (განურჩევლობის) გამომუშავებას. ყვავილის მტვრის მიმართ ტოლერანტობა მიიღწევა ორგანიზმში ალერგენის მზარდი დოზების შეყვანით. ჰიპოსენსიბილიზაცია, წესისამებრ, იწყება ზამთარში და მთავრდება ყვავილობის სეზონის დადგომამდე, ან შემცირებული დოზებით მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. სრული თერაპიული ეფექტის მისაღებად სამი კურსი მაინც უნდა ჩატარდეს. ეს მეთოდი ყველაზე სასარგებლოა სწორედ პოლინოზების დროს. სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაცია აუცილებლად ექიმმა ალერგოლოგმა უნდა ჩაატაროს სპეციალიზებულ ალერგოლოგიურ დაწესებულებაში (ალერგოლოგიურ კაბინეტში).

არსებობს ალერგენის ორგანიზმში შეყვანის ორი მეთოდი: ინექცია და სუბლინგვური წვეთები. სამკურნალო ალერგენის ყოველი შეყვანის წინ და შემდეგ ავადმყოფი აუცილებლად უნდა გაისინჯოს და დარჩეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ შეყვანიდან 30 წუთის განმავლობაში.

– შესაძლებელია თუ არა პოლინოზის პროფილაქტიკა?

– ალერგიის გამწვავების თავიდან ასაცილებლად რეკომენდებულია:

- არ გახვიდეთ შინიდან დღის 11 საათამდე.
- არ წახვიდეთ ისეთ ადგილას, სადაც ბევრი მცენარე ყვავის.
- ქუჩაში აუცილებლად გაიკეთეთ მზის სათვალე.
- შინ დაბრუნებისას გამოირეცხეთ სასუნთქი გზები ონკანის ან ფიზიოლოგიური წყლით.
- ერიდეთ კოსმეტიკასა და დასაბან საშუალებებს, რომელთა შემადგენლობაში მცენარეული კომპონენტები შედის.

თუ დაავადების მკურნალობა და პროფილაქტიკა დროულად არ დაიწყო, სიმპტომები ყოველ წელიწადს უფრო და უფრო მეტად დამძიმდება. შესაბამისად, გართულდება მკურნალობაც.

ლალი ჩხიკვაძე

mkurnali.ge

რუმინეთში გოგონებმა იყოჩალეს

რუმინეთის ქალაქ კლუჟში ჩატარდა ევროპის თასი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ გოგონების ნაკრები გამოდიოდა. ჩვენმა ძიუდოისტებმა ორი მედალი მოიპოვეს, ორივე – ვერცხლი, რაც **მზია ბებოშვილმა** (52) და **ეთერ ლიპარტელიანმა** (57) გააკეთეს. ბრინჯაოს მედლისთვის ჩვენი გუნდის კიდევ ორმა წევრმა იჭიდავა – **მარიამ ჭანტურიამ** (57) და **სოფიო სომხიშვილმა** (+78), თუმცა დამარცხდნენ და მეხუთეზე დარჩნენ.

ამავე ასაკში ევროპის ბრინჯაოს მედალოსანმა ბებოშვილმა ქვეჯგუფში რუმინელი **კატალინა შიოპუ** და უკრაინელი **ანასტასია ვრუბლევსკა** დააიპონა. განსაკუთრებით დიდი უპირატესობით მასპინძელს მოუგო, ვისაც სამივე სინჯის ილეთი ჩაუტარა. ქართველმა ნახევარფინალშიც წმინდად მოიგო ხორვატ **ტიეა ტოპოლოვეცთან**, ხოლო ფინალში თურქ **ირემ ქორქმაზთან** დამარცხდა.

ტურნირი ლიპარტელიანმაც მასპინძელთან მოგებული იპონით დაიწყო – **კასანდრა რუსნეაკი** დაამარცხა. შემდეგ გერმანელ **ჯულიანე კროუტერს** ვაზარით აჯობა, კიდევ ერთი მასპინძელი **ანდრეა ოპრეა** გაფრთხილებებით მოახსნევინა, ნახევარფინალში კი ჩეხი **ვერა ზემანოვა** დაადგო იპონზე. სამწუხაროდ, ფინალში მოგება ვერც მან შეძლო – ფინელ **ემილია კანერვასთან** წააგო.

ნახევარფინალში ჩვენი გუნდის კიდევ ერთი წევრი გავიდა – სომხიშვილი, ვისაც მწვრთნელი, ოლიმპიური პრიზიორი **გია თენაძე** ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულად მიიჩნევს. მან ჯერ სერბი **სარა სლავკოვიჩი** დაჯაბნა სუფთა გდებით, მერე კი რუმინელი **ალეხანდრუ მაზილუ** მძიმე ბრძოლაში, იუკოთი დაამარცხა. თუმცა მანამ თვითონაც სამი გაფრთხილება მიიღო და წაგების საფრთხე რეალურად დაემუქრა. ამჯერად ეს საშიშროება კი აიცილა და ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შემდეგ ვერა – ჯერ ხორვატ **ლეა გობეჩთან** წააგო, მერე კი ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაშიც დამარცხდა იტალიელ **ანალიზა კალაგრეტისთან**. არადა, ნახევარფინალში ხორვატთან ვაზარით იგებდა და თენაძეს ძალიან ცოტა აშორებდა, ფინალში მესამე შეგირდიც ჰყოლოდა, რაც გარანტირებული მესამე მედალიც იქნებოდა.

ჭანტურიამ თავიდან თურქი **გიზემ სენაი** და ებრაელი **გილი შარირი** დაამარცხა, რასაც მოჰყვა წაგება ბულგარელ **იზაბელ ხრისტოვასთან**. დამამშვიდებელში ქართველმა ისევ ორი პაექრობა მოიგო – ბრიტანელ **კლოე ელვისსა** და ხორვატ **ივა ობერანის** სძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიპარტელიანის მიერ ძლეულ ჩეხ ზემანოვასთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედალიც მას დაუთმო.

დასახელებულთა გარდა, რუმინეთში **ნატალია ყიფშიძე** (44), **თინათინ რევაზიშვილი** (48), **ნინო მგელაძე** (52), **ნათია მიქაბერიძე** (63), **სალომე მჭედლიშვილი** (70) და **ელისო სისაურიც** (70) ჭიდაობდნენ.

ახალგაზრდა მსროლელების საშინაო წარმატება

ისევ გამოიჩინა თავი 15 წლის ქუთაისელმა ტყვიის მსროლელმა **ლიზი კილაძემ**. ამჯერად – საშინაო ასპარეზზე. მან ჯერ საქართველოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა ახალგაზრდებში, შემდეგ კი თბილისის თასის ღია გათამაშებაში მოიპოვა ვერცხლის მედალი. თუმცა ამ შეჯიბრებებში სხვა ახალგაზრდებმაც საყურადღებო შედეგები აჩვენეს.

ორივე ტურნირი თბილისში, **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გაიმართა. საქართველოს ჩემპიონატში ასაკობრივი დაყოფა იყო, ანუ ახალგაზრდები და უფროსები ცალ-ცალკე იბრძოდნენ. კილაძემ გოგოებში 377 ქულით გაიმარჯვა, თუმცა მისი პირადი რეკორდი გაცილებით მაღალია – 384, რაც შარშან, თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატში დააგროვა. მეორე-მესამე ადგილებზე სალუქვაძის კლუბის წევრები, თბილისელები – **ქეთი შედანია** და **მარიამ ღვინიაშვილი** – გავიდნენ. მათ, შესაბამისად, 373 და 371 ქულა დააგროვეს. ურიგო შედეგები არც ესაა, თუ სტაბილურად შეინარჩუნეს ეს მაჩვენებელი, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე პირადში ნაკლებად, მაგრამ გუნდურში მედლის მოპოვება სავსებით შესაძლებელია.

საქართველოს თასზე ასაკობრივი დაყოფა აღარ იყო – უფროსები და ახალგაზრდები ერთად იბრძოდნენ. იქ კილაძე მხოლოდ ოლიმპიურ, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონ სალუქვაძეს ჩამორჩა – შესარჩევში ისევ 377 ქულა დააგროვა, რასაც ფინალში 98.3 დაუმატა და ჯამში 475.3 ქულა დაუგროვდა. თასზე თავი კიდევ ერთმა ქუთაისელმა, კილაძის თანატოლმა **ნინო ხუციბერიძემ** გამოიჩინა – 470.6 ქულით ბრინჯაო მოიპოვა. საყურადღებოა მის მიერ შესარჩევში ნაჩვენები შედეგი – 372 ქულა.

ახალგაზრდა ბიჭებში პირადი რეკორდი ერთი ქულით გაუმჯობესა ნინო სალუქვაძის შვილმა **ცოტნე მაჭავარიანმა**, რომელმაც ამჯერად 574 ქულა დააგროვა და პირველობა არავის დაუთმო (არადა, შეგახსენებთ, რომ ისინი უფროსებთან ერთად ისროდნენ) – ჯამში 673.6 დააგროვა. აქ ახალგაზრდებიდან თავი სხვებმა ვერ გამოიჩინეს, საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატში კი საპრიზო ადგილები ისევ იმ სამეულმა შეავსო, რომელმაც მარტში ევროპის გუნდურ პირველობაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა – მაჭავარიანმა 568 ქულით გაიმარჯვა, მეორეზე თბილისური ასკ-ს წევრი **ვლადიმერ მაიოროვი** გავიდა 567-ით, მესამე კი სალუქვაძის კლუბის კიდევ ერთი წევრი **აკაკი მოსულიშვილი** იყო 561-ით.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გვიწევს საკანონმდებლო ლაფსუსზე წერა, რომლის მოგვარებასაც განათლებისა და სპორტის სამინისტროებმა ვერაფრით მოაბეს თავი. უფრო სწორად, დღემდე არც უცდიათ ამის გამოსწორება – მაჭავარიანი წლეულს სკოლას ამთავრებს და ეროვნული გამოცდების გამო ამერიკაში ტურნირზე ვერ მიდის, რადგან კანონმდებლობა არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს და მოსწავლე-სტუდენტ სპორტსმენებს გაცდენილი საათები არასაპატიოდ ეთვლებათ.

„სტუდენტური დღეები-2015“ დაიწყო

სტარტი აიღო „სტუდენტური დღეები-2015“-მა, რომელშიც საქართველოს 52 უმაღლესი სასწავლებლის 5000-მდე სტუდენტი მონაწილეობს. ეს ღონისძიება ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებლებს შორის არა მარტო სპორტულ შეჯიბრებებს, არამედ კულტურულ-გასართობ და ინტელექტუალურ ღონისძიებებსაც.

ამ დღეების ფარგლებში უკვე გაიმართა შეჯიბრებები მეკლდეურობაში, რასაც თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. თუმცა, მასპინძელთა სამწუხაროდ, პრიზიორთა შორის მათი სტუდენტები ვერ მოხვდნენ. ბიჭებში **გიგა ჯანხოთელმა** (სტუ) გაიმარჯვა, მეორე-მესამე ადგილებზე კი, შესაბამისად, **გიორგი გაბულდანი** (თსუ) და **ლერი კვიციანი** (სდასუ) გავიდნენ. გოგონებში ჩემპიონობა არავის დაუთმო **სოფიო გოგიბედაშვილმა** (აგრარული უნივერსიტეტი), ვერცხლი **მარიამ მეიტარჩიევმა** (სტუ) მოიპოვა, ბრინჯაო – **ბორენა ცერცვაძემ** (გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი).

ბეკურაშვილის ტურნირზე

ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტული კლუბის დარბაზში ჩატარდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონ **ნოდარ ბეკურაშვილის** სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ორ ასაკობრივ კატეგორიაში – 1999-2000 და 2001-2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში 258 სპორტსმენი გამოდიოდა. მათ შორის იყვნენ ბაქოდან ჩამოსული სტუმრებიც, რომლებმაც ერთი ბრინჯაოს მედალი წაიღეს სახლში.

უფროს ასაკში ჩემპიონები გახდნენ ქუთაისელები – **დიტო სალდაძე** (42) და **გიორგი ჭელიძე** (69), ქობულეთელი **თამაზ შავაძე** (46), გორელები – **ნიკა კვინიკაძე** (50), **გოდერძი ძებისაშვილი** (54) და **ცოტნე აბალაკი** (58), კასპელი **დანიელ მარქარაშვილი** (63), ონელი **მირიან მაისურაძე** (76), ქარელელი **სიმონ ოსკანიანი** (85) და თბილისელი, კლუბ „მართვეს“ წევრი **ზაურ ტაბატაძე** (100). სწორედ ტაბატაძეს გადაეცა ბეკურაშვილის სახელობის თასი. უმცროსებში ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ თბილისელი **იგორ აფციაური** (29), ხაშურელი **დავით გოგნიაშვილი** (32), ყვარელელი **დავით ქაქალაშვილი** (35) და ქუთაისელი **გიორგი ჭოლაძე** (38).

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

9 ლარი

ქართველი მწერლები

1. **ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი**
2. **მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი**
3. **ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი**
4. **ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი**
5. **კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი**
6. **რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი**
7. **ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი**
8. **გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი**
9. **ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი**
10. **თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი**
11. **გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი**

მითითებული თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასტერები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. **წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი**
2. **წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული**
3. **ფერები**
4. **გარეული ცხოველები**
5. **გარეული ფრინველები**
6. **პროფესიები**
7. **რიცხვები**
8. **შინაური ცხოველები და ფრინველები**
9. **ჰიგიენის ნივთები**
10. **საოჯახო ნივთები**
11. **ტრანსპორტი**
12. **წყლის ბინადრები**
13. **რუსული ანბანი**

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. **რელიგიების წარმოშობა**
2. **გარეული ფრინველები საქართველოში**
3. **გარეული ცხოველები საქართველოში**
4. **მწერები**
5. **ძვეწარმავლები საქართველოში**
6. **საქართველოს მცენარეები**
7. **სამყაროს წარმოშობა**
8. **ნიადაგი – სიცოცხლის წყარო**
9. **რეპტილიები და დინოზავრები**
10. **მსოფლიოს დროშები**
11. **ზღვის დინებები**
12. **ძიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა**
13. **ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა**
14. **მსოფლიოს შვიდი საოცრება**

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. **მიხეილ ჯავახიშვილი**
2. **გიორგი ლეონიძე**
3. **ირაკლი აბაშიძე**
4. **ნოდარ დუმბაძე**
5. **აკაკი წერეთელი**
6. **კონსტანტინე გამსახურდია**
7. **პაოლო იაშვილი**
8. **სულხან-საბა ორბელიანი**
9. **პოლიკარპე კაკაბაძე**
10. **გურამ რჩეულიშვილი**
11. **დავით გურამიშვილი**
12. **ბესიკი**
13. **რევაზ ინანიშვილი**
14. **თეიმურაზ I**
15. **ვახტანგ VI**
16. **გიორგი მერჩულე**
17. **გრიგოლ ორბელიანი**
18. **დავით ალმაშენებელი**

4 ლარი

რეპროდუქციები

1. **ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი**
2. **მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო**
3. **ადელ გლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი**
4. **მენინები - დიეგო ველასკესი**
5. **დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო**
6. **მხატვრის ბაღი - კლოდ მონე**
7. **უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი**
8. **საძანელა - ოგიუსტ რენუარი**
9. **საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა**

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

თბილისის ბოტანიკური ბაღი



თბილისის ისტორიულ ადგილთა შორის, ტურისტების და, უბრალოდ, თბილისელების უსაყვარლეს ადგილად, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი, თბილისის ბოტანიკური ბაღი ითვლება. მისი ისტორია მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს სათავეს, კერძოდ, 1636 წლიდან. თავდაპირველად, ბაღს „სამეფო ბაღი“ ეწოდებოდა და ის სოლოლაკის სამხრეთით, მდინარე წავკისის წყლის ხეობის ქვედა ნაწილში იყო გაშენებული დეკორატიული და სამკურნალო მცენარეებით. ბაღი ქართველი მეფეების სასახლეს ესაზღვრებოდა და ამიტომ უწოდეს „სამეფო ბაღი“. იყო სხვა სახელებიც: „ციხის ბაღი“, იგივე „სეიდაბადის ბაღი“, „ცოდნის წყარო“. ადრე ეს მცირე ფართობი წარმოადგენდა დასასვენებელ პარკს, შემდეგ კი სამი პატარა ბაღი გაშენდა სამკურნალო მცენარეებით, ბოსტნეულითა და ხეხილით. ბოტანიკური ბაღის შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის და ბოტანიკოს ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის ჩანაწერებში, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ესტუმრა თბილისს. ბაღის მდებარეობა აღნიშნული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს 1735 წელს შედგენილ „ტფილისის გეგმაზე“.

1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევდის დროს, ბაღი მთლიანად გადაწვეს და ყველა მცენარე გაანადგურეს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდგომ, ბაღი სახელმწიფო საკუთრება გახდა. ამ დროისთვის იგი, პრაქტიკულად, განადგურების პირას იდგა.

1845 წელს მთავარმართებლის, მიხაილ ვორონცოვის განკარგულებით, ბაღმა ოფიციალურად მიიღო ბოტანიკური ბაღის სტატუსი, თუმცა მისი აღორძინება ჭიანურდებოდა ფინანსების უქონლობისა და, რაც მთავარია, ამ საქმის მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტების სიმცირის გამო.

1861 წელს, ბოტანიკურ ბაღში, განათავსეს მებაღეობის სასწავლებელი, თუმცა, არც ამან უშველა მისი აღდგენის საქმეს. ბაღის აღდგენის თარიღად 1883 წელი სახელდება, როდესაც მის დირექტორად დაინიშნა ცნობილი ბოტანიკოსი **ჰენრიხ კარლ ვერნერ შარერი**, რომელმაც მანამდე „ალექსანდროვის ბაღის“ მოწყობით გაითქვა სახელი. ბაღის ტერიტორია 128 ჰექტარს მოიცავდა. შარერმა მცირე დროში მოახერხა მისი კეთილმოწყობა. მცენარეების საერთო რაოდენობამ 4500 ერთეულს მიაღწია, რომელთაგან უმეტესობა დეკორატიული იყო. შარერი იმდენად კარგად უძღვებოდა საქმეს, რომ კოორდინაციას უწევდა ამიერკავკასიის სხვა ბაღებსაც და ახორციელებდა თესლებისა და ნერგების გაცვლას მსოფლიოს 70 ბოტანიკურ ბაღთან. იმ პერიოდში ბოტანიკური ბაღი თბილისელებისა და მისი სტუმრების დასვენების საუკეთესო ადგილად ითვლებოდა. შესასვლელი მოწყობილი იყო ქუჩიდან, ბაღში შესვლის მსურველს კი აუცილებლად უნდა ჰქონოდა ერთჯერადი ან სეზონური ბარათი. ბაღში არ უშვებდნენ არაფხიზელ და შეუსაბამოდ ჩაცმულ ადამიანებს, ასევე, იმ პირებს, რომლებიც უტაქტო ქცევით იპყრობდნენ ყურადღებას. ბაღი დილის 8 საათზე იხსნებოდა, ხოლო მის დახურვას ზარის დარეკვით ამცნობდნენ დამთვალიერებლებს. ჰენრიგ შარერმა უდიდესი წვლილი შეიტანა თბილისის ბოტანიკური ბაღის აღორძინებაში. მან ბრწყინვალე ბაზა დაუტოვა თავის შემცვლელებს ბაღის დირექტორის თანამდებობაზე, რომელთა შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი არიან – **იაკობ მედვედევი** და **ალფრედ როლოვი**.

მედვედევი სარატოვის სატყეო აკადემიის კურსდამთავრებული იყო და თბილისის ბოტანიკურ ბაღს 1889 წელს ჩაუდგა სათავეში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ბაღის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით არაერთი ცნობილი ქართველი ბოტანიკოსი აღიზარდა. მედვედევის დირექტორობის პერიოდში დაიწყო ბოტანიკური ბაღის ჟურნალის გამოცემა, სადაც ქვეყნდებოდა ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებზეც ბაღის მეცნიერი თანამშრომლები მუშაობდნენ, იბეჭდებოდა მცენარეთა კატალოგები, სათავე დაედო მეტეოროლოგიურ კვლევებს, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან ჩამოტანილი თესლების გამოყვანას ეხებოდა.

ალფრედ ქრისტეფორეს ძე როლოვი ბოტანიკური ბაღის დირექტორი 1902 წელს გახდა. იგი დაიბადა თბილისში, გერმანელი კოლონისტების ოჯახში. როლოვს მოსკოვის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში ჰქონდა მიღებული განათლება. მისი დირექტორობის პერიოდში ბაღს შეემატა რამდენიმე უნიკალური ჯიშის ხე და მცენარე, რომელთა უმეტესობას როლოვი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან იწერდა. 1908 წელს, ინჟინერ როტინოვის მიერ, აიგო ცნობილი ხიდი ბოტანიკური ბაღის ჩანჩქერზე, იმავე წელს გაკეთდა ყველა თბილისელისთვის ცნობილი გვირაბი. გვირაბის მშენებლობა ნახევარი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელსაც ინჟინრები – ხატისოვი და ბრაილოვსკი ხელმძღვანელობდნენ. მაშინდელი გაზეთი „რუსული სიტყვა“ წერდა: „1908 წლის 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა სოლოლაკისა და ბოტანიკური ბაღის დამაკავშირებელი გვირაბი. გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ ქალაქის თავი, გუბერნატორი, ქალაქის ადმინისტრაციის ჩინოვნიკი და ტფილისის სტუმრები“.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ალფრედ როლოვი ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებისთვის ხელშეუხებელ ავტორიტეტად ითვლებოდა. იგი ღრმად მოხუცებულ ასაკშიც კი განაგრძობდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. მან ქართველი ბოტანიკოსების არაერთი თაობა აღზარდა. როლოვი 1952 წელს გარდაიცვალა, თავის სახლში, მიხეილის პროსპექტზე №110-ში (ამჟამინდელი აღმაშენებლის გამზირი). დაკრძალულია კუკიაზე. საინტერესოა, რომ როლოვის ინიციატივით, XX საუკუნის დასაწყისში, თბილისში სამი მაღაზია ფუნქციონირებდა, სადაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა მცენარისა და ნერგის შეძენა. სამივე ეს მაღაზია მიხეილის პროსპექტზე მდებარეობდა.

1932-1958 წლებში ბაღის ტერიტორიას მიემატა ყოფილი მუსლიმანური სასაფლაოს ტერიტორია წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე და თაბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე. საბჭოთა პერიოდში ბაღის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი შეიტანა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა **ნიკო კეცხოველმა**. აქ შემორჩენილ საფლავებს შორის არის აზერბაიჯანელი მწერლის, მირზა ფათალი ახუნდოვის საფლავი.

1986 წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნა ბოტანიკური ბაღის 350 წლისთავი. გასული საუკუნის 90-იან წლებში, ისევე, როგორც მთელ საქართველოს, ბოტანიკურ ბაღსაც მძიმე დრო ედგა, თუმცა, ამჟამად, თბილისის მერიის ხელშეწყობით, ბოტანიკური ბაღის საოცარი გარემო კვლავ ელის დამთვალიერებელს.

მოამზადა
ანა ფირცხალაიშვილმა

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >